

ე. კვანთაძის (5 ნომერი) კოლეგია

წელიწადი პირველი.

№ 15.

ფასი 20 კპკ

# განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-  
ლიტერატურო და საპოლიტიკო  
ჟურნალი.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ჩვენი დროის სურათები, გოჯია ვინმესი,
2. მშვიდობით, შუქურაძე, დ. თურდოშვი-  
რელისა.
3. შვიდი აპრილი, ან საიდუმლოება ერთი  
საფლავისა, დასასრული, თავ-თეთრისა.
4. მიქრის ჟამი, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
5. ბაბო. გაგრძელება, გ. ებრალიძისა.
6. დაკარგული ბედნიერება, ს. ტაიფუნისა.
7. გმირები.
8. სალაყბო წერილები, პეტრე შირიანი-  
შვილისა.
9. კრიტიკა, ხომლეღისა.
10. კრიტიკული დახასიათება, გერონტი  
ქიქოძისა.
11. სადღესო, სახალხო ბანკი, გ. ხონე-  
ლისა.
12. ახლო აღმოსავლეთი, გულკეთილისა.
13. მოგონება, ბესარიონ ჭიათურელისა.
14. ქუთაისის თვითმართვლობის დეპეშა.
15. დაბა ხონი, სტუმარისა.

1 ოკტომბერი 1915 წ.

### მ შ თ ა ი ს ი

სტამბა „შობა“, ქარვასლის ქ., სახლო ჩარეკოვისა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისთვის.

(წელაწადა მერვე)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას აღუბნენ ყველა ჩვენს საზოგადოებას მკვლევარი, მწერლები, პედაგოგები და მოეტყობი..

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანათი** (4 მან.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანათად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: „მრავალჟამიერ“ მუსიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისთვის. **პეტალოცის, ჰერბერტ სპენსერის, რუსსოს და კომენსკის პორტრეტებს**, რომელთა მაგიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისა“ და „პატარა მურია“ სიტყვები პაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღიზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ **კიკნაძესთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სამტრედიის** წ-კ. საზოგადოების კიოსკში **მ. კობალეიშვილთან**. ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს **დროზე დაიკვეთონ** ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლათ.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Бочвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი. **ლ. ზ. ბოცვაძე.**

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

## ჩვენი დროის სურათები.

(სადღნოთ).

მაშინ, როდესაც ქვეყანას მოედო ცეცხლის ალღები, როცა ქუხს — ეხეთქებიან ერთმანეთს ძალთა-ძაღები; მხოლოდ შენ გიძებს, მხოლოდ შენ, ჩემი მწუხარე თვალები, სად ხარ, როგორ ხარ, როგორ გაქვს გული სევდითა და წაღვლებით? შენ დგახარ, შავათ მოსილი, ვითა სიჩუმე ღამისა, ლამაზ შუბლს გიმკობს სევდა და ლოდინი დიდი ჟამისა... არ ვიცი, როგორ შეგკადრო — რა დროა სითამამისა? — როგორ შეგკადრო ამ დროსა, მოძღვნა ლექსისა ამისა.

თუ მოგეწონა იგი შენ, ხმითა მით საამურითა, თუ მან გაგართო ცოტათი, იუოს სასმენი ყურითა, — ერთი ღიმილი მაჩუქე; ალერსით მშობლიურითა, და შენც მიხვთები, ლაპაზო, სული მიღვია, თუ რითა თუ არა, უქმათ წავიდა... ცთა ჩემი შეუბოვარი, თუ კვლავ მიმტყუნებს იმედი, მუდამ სევდისა მთოვარი, — შენ ერთი ცრემლი მაჩუქე, მეტის არავარ მთხოვარი, იყავ ერთ წამსა, მხოლოდ ერთს, ჩემზე გულითა მგლოვარი.

### I

— ჰოი, თფილისო, ლამაზო ჩემო, რა ტურფათ არის შემკული შენი მთებისა ზღუდე, შენი გარშემო და ზედ ნანგრევი-გვირგვინი შენი, გვირგვინი ძველი, რომლისთანები დროებს ბევრი დაურღვევია... რა საამურათ ჩაგიმწკრევია სახლი-სახლზედა, ბანზე — ბანები; რა საამურათ გადაბმულ არი შენი ქუჩა და შენი ბულვარი...

### II

რა ტებილი არი, ლამაზო ჩემო, საღამო ჟამსა შენი ყურება, როცა ლამპრების ანთებულს ქვემო, ვარსკვლოვანი ცა დაგეხურება; ღონეს ვგრძნობ ხოლმე მაშინ მკლავებში, მჯერა, არსება ციურთა ძალთა,

საქმიანი  
ს) სენი  
1401

ნამოსწერი  
ს) სენი  
1401

ისე ლამაზათ ლვრის შენი კალთა  
თავის ვარსკვლავებს ცის ვარსკვლავებში,  
ისე ლამაზათ შეყრილი არის,  
მიწის კიდესთან კიდე კამარის...

## III.

ასე ფიქრობდა ლიაძე ნიკო...  
რა გითხრათ მახე, რა ავიწეროთ?  
რა სარბიელი საპოლიტიკო,  
წინ ვადაშლილი საბედნიეროთ?  
რა სვლა და ფერი გარემოების,  
რა მოქმედება ლაზათიანი!  
რომ დაინატოს ადამიანი  
და მისწრაფება ამ ჩვენი დროის, *დროის*  
რო სიმართლესთან დავიცვა გემო,  
და შენც გაგართო, მკითხველო ჩემო?!

## IV.

ის დაიბადა, წამოიზარდა,  
ერთ პატივცემულ ქართულ ოჯახში,  
რომელსაც თითქმის — ბანკისა გარდა —  
არ აწუხებდა ვალი და ვახში...  
ნიკო სწავლობდა, შემოიარა  
იმან ბოლო დროს ევროპაც ძველი.  
ახლა მგზავრობა არ არი ძნელი,  
ვისაც აქვს ფული (ბევრი — კა არა);  
და განათლება, თუმცა ძვირია,  
ახლა არც ისე გასაჭირია.

## V.

იცოდა იმან ორჯსამი ენა,  
როცა ისევე ეწვია თფილისს...  
სახეზე აჩნდა გონების ბწყინვა, *ბწყინვა*  
და ნაკვალევი ოცნების ტკბილის.  
მათი კრთომითა მოუწყინარი,  
იგი მსოფლიოს გასჭვრეტდა ლხენით,  
სჯიდა ცხოვრებას მახვილი ენით,  
შვენოდა სიტყვა, გძნობით ბწყინარი.  
შარა, მგონი, რომ უფრო შვენოდა  
უკანასკნელი პარიზის მოდა.

## VI.

ცილინდრი კოხტა მას უხებობდა  
და ზოგჯერ გულზე პატარა ვარდი.  
და, თუმც იმის ქვეშ, იმალებოდა,

იპაპის გენერალ

ვით ჩირგვში გველი, მუდმივი დარდი,  
მაინც მის შხამი ჯერ ვერ ამღვრევდა,  
დღისა და ღამის ანკარა დენას;  
ხშირათ იხატდა გულში სიამეს <sup>ბოლოცნს</sup>  
თვით გამჭვირვალე გულისა სევდა  
და, ცხოვრებისა ფერადი არე,  
ჩანდა ტკბილი და შიგებით მღიმარე.

VII.

ჩვენში ბევრია, სხვაგან თუ არის,  
კუთხე სხვა და სხვა ვასართობელი,  
თეატრი—მისი რეპერტუარის,  
მიმზიდველობა დაუნდობელი,  
სალამო ცეკვის, ან სამუსიკო,  
და ბველმოქმედო ხომ არის ხშირი,—  
არსათ ყოფილა სტუმარი ძვირი,  
ყველგან ჩდებოდა ლიბე ნიკო,  
ყველგანა სდევდა შნო და ხალისი  
და კოხტა იყო სალამი მისი.

VIII.

უმზერდა იგი გაკვირვებული,  
ბძოლას შინაურს, სხვა და სხვა ჯკუფთა,  
და განზე იდგა. გაწბილებული,  
რო შერჩენოდა ფხილგები სუფთა.  
უმზერდა იგი აღტაცებული  
ბძოლას მედგარსა სხვა და სხვა ერთა.  
რალაც სიამით მის გულიცდებდა,  
რალაც მომავალს ელოდა გული,  
და, საიმედო შუქების შუა,  
იქვისა ლანდებს დევნიდა ქუა.

IX.

წამდა მას, რომა არ არის ბნელი,  
არც უნდა იყვეს ქვეყნიერება,  
რომ არის მაში შესაძლებელი,  
სიყვარული და ბედნიერება;  
რო მონობა და უბედურება,  
დროებითი და წარმავალია,  
რო მუშაობა—წმინდა ვალია,  
ჯილდო—შური და უმადურება,—  
ამაში იყო დარწმუნებული,  
და ღია ქონდა ძმობისთვის გული...

X.

არცა ტრფობაზე იტყოდა უარს,

მუდამ მღვღვარე იმისი გული,  
არ აუხვევდა მყუდრო ბუღუარს,  
თუ ჟამი იყო მოხერხებული.  
არ იყო გიყი, არც დარდიმანდი,  
მარა სიამე გულში ღვიოდა,  
როცა ქუჩაზე გადდიოდა,  
ლაშაზი ქალის კეკლუცი ლანდი...  
ბალი და ღვინო, ლექსი და მთვარე,  
მისთვის არ იყო უცნობი არე...

XI.

მარა დროს მოაქვს სხვა და სხვა ზომა,  
და მასთან ხშირათ იცვლება გული.  
ახლა მას უფრო სწყუროდა შრომა,  
საზოგადო და განათლებული.  
მას არ უგვეძენია ის ნეტარება,  
რომელიც მოსდევს საერთო შრომას.  
თუ კაცის გული კამარის კრთომას,  
ან თვით კამარას დაედარება...  
ვიტყვი, რომ მაში ხშირათ ღრუწელი  
იკრიბებოდა შავი და ბნელი...

XII

ბედავდა ნიკო, როგორ ნელ—ნელა,  
დაიბრუნა მისი რწენათა-რწმენა;  
ქვითკირი იგი, ქვადაქვა ყველა,  
და ლოდი ლოდათ ჩამოესვენა.  
როგორც ნაშთი რამ საუბედურო,  
ქვა ქვას დაემხო, მკვდარი და ცივი.  
მარა ნანგრევსაც ეხვევა სხივი,  
და ქვას ძველ ლოდებს ახალი სურო.  
იმედი?—ღიას!... მხოლოთ მცირედი,  
თუ იმასაცა არ წაშლის ბედი.

XIII

ყველგან, სადაც-კი ასწია ხელი,  
ყველგან, სადაც-კი უნდოდა შრომა,  
ყველგან მოედო, რალაცა ქსელი,  
რასაც არა აქვს სახე და ზომა...  
სადაც-კი დასდო შუბლი მან ცხელი,  
ადგა, ან დაჯდა, ან მიეყუდა,  
სულ ედებოდა, ვით აბლაბუდა,  
და ხელს უშლიდა მოვლენა ბნელი...  
გავიდა ხანიც რამოდენიმე,  
და, ქსელი გახდა იმდენათ მძიმე,

## XIV

რომ უფრო ჯაქსა ედარებოდა,  
 გაურკვეველი მისი ბუნება,  
 სულსა სწავდა და ემწარებოდა,  
 ყოველი მისი დახახუნება.  
 ნიკო ითმენდა, ჯერ შეუშკრთალი,  
 ასე ცხოვრების არევ-დარევით;  
 მერე—გაშეშდა, მოლიმარე, ვით  
 სასაფლაოზე ჭირისუფალი;  
 ბოლოს,—შეკუთხვა მიუძღვნა კარგი  
 და ჩაალაგა სამგზავრო ბარგი.

(შემდეგი იქნება.)

## გოგია ვინმე.

## მშვიდობით, მუქურავ!..

ძლივს!..

ძლივს დაღამდა...

ძლივს შეწყდა ზარბაზნების ზუზუნ-  
 გრიალი...

„კაენის კვამლის“ ხრჩოლება...

განთიადამდის, ალბათ, აღარ იბძო-  
 ლებენ...

მეომრები ერთმანეთს კოცნიან... ულო-  
 ცავენ გადარჩენას...

განთიადამდის კიდე შეუძლიათ იცო-  
 ცხლონ და შემდეგ-კი... შემდეგ...  
 ეპ!..

მოლილო-მოქანცულნი მიწვენ იქვე,  
 თხრილებში...

რიგი ცთილობს მიძინებას...

რიგი კიდევ ევლება მტირალ ფიქრებით  
 მიტოვებულ მშობლო კერას...

ვახტანგიც მიწვა გულ-აღმა და ყურე-  
 ბა დაუწყო ხარი-პარას\*), რომელიც  
 ცის დასავლიდან მოციმციმებდა სხივ-მოელ-  
 ვარე.

უყურებდა მას და ცრემლებით ევსებო-  
 და თვალები.

ალბათ, ახლა სწორეთ ამ ხარიპარი-  
 ას იმის ტკბილ სამშობლოში მისიანებიც  
 შეყურებენ, უზომოთ დამწუხრებულნი.

\*) ხარიპარია—სთომილი.

რას, რას გაბარებენ ჩემთან მუქურავ,  
 როგორა ცხოვრობენ?... ჩემი დედიკო, რო-  
 გორ არი?... საბრალო, ვერ აუტანია ჩემი  
 დაშორება და ლოგინათ ჩავარდნილა?...  
 ვაგლახმე! დედა დამსნეულებია და მე არ  
 შემიძლია მისი ხსნა, ნუგეშინი... მისი ნოვ-  
 ლა-ფარეხი...

ახ, როგორ არი ჩემი დედიკო, მუ-  
 ქურავ, როგორ... რატომ არას მეტყვი?...  
 ჩემი მაყვალა?... ჩემი სულის დგმა მა-  
 ყვალა?

ის, ალბათ, შენ შემოგყურებს ახლა,  
 მუქურავ...  
 იცი, რას გეტყვი, ძვირფასო?!..

ასე წარმტაცათ იმიტომა ციმციმებ, რო  
 ჩემი მაყვალა შემოგყურებს... მაყვალას თვა-  
 ლები გაეშხიანებენ, გალამაზებენ და გათი-  
 ნათინებენ...

განა, შენდათავათ, მართლა ისე მომხი-  
 ბლავი ხარ, მუქურავ...

ღმერთმანი, ჩემი მაყვალაა შენი შეე-  
 ნების მიზეზი... მისი ელვარე თვალები გმო-  
 სვენ ზღაპრულ სინაზით...

მუქურავ, მუქურავ!.. რა წარბი შეი-  
 კარი, გეწყინა ჩემი სიტყვები?... იბუტები?...  
 ნისლებს ეფარები?...  
 ნუ, ნუ გენაცვალე... ნუ გამიწყრები...  
 გებუმრები... როგორ არ იცი ხუმრობა...  
 შენც კარგი ხარ და ჩემი მაყვალაც...  
 ორივე მიყვარხართ...  
 ასე, ასე, მუქურავ!...  
 ასე აღერსით გადმომხედე შენს ერთ-  
 გულს მეგობარს...  
 რა დიდი დღე მე მაქვს სასიცოცხლო...  
 შენა ფითრდები, მუქურავ, შენ იცრი-  
 ცები, გეთაყვანე...  
 ვაგლახმე!... განთიადი ახლოვდება...  
 განთიადი ახლოვდება და... მე ვკვითინებ...  
 ან, როგორ არ ვიკვითინებ, როცა  
 აღარა მაქვს რა სასიხარულო...  
 ვინ იცის, ამ განთიადისას, ნაცვლათ  
 მზის პირველი სხივის ამბორებისა, მტრის  
 ტყვია მომესაღმოს სისხლის სიცილით...  
 ვინ იცის, საგარიჟრაჟო ნიავის ნაც-

ვლათ, „კანის კვამლი“ შემიხუთოს გვემუ-  
ლი სული...

მშვიდობით, შუქურავ!... მშვიდობით,  
გეთაყვანე...

ჩემი უკანასკნელი ცრემლ მორეული  
სალამი შენ გადაეცი ჩემს ძვირფას მოყვასთ...  
ჩემს ბედკრულ მამულს...

**დ. თურდოსპირელი.**

**შვიდი აპრილი,\*)**

ან საიდუმლოება ერთი საფლავისა.

**III.**

(დასასრული.)

კარგა ხანა გაიარა. მე ამ დროში ჩემი სა-  
კუთარი კერძო საქმეები გამიჩნდა და სასაფლა-  
ვოს სტუმრებისთვის აღარ მცალოდა. უცნობი  
ჭირისუფალიც აღარ შემხვედრია, თუმცა მას,  
როგორც ეტყობოდა, ჩვეულებისთვის არ ულა-  
ლატნია და კვლავინდებურათ ნახულობდა თა-  
ვისიანის სამარეს. საფლავსაც ეტყობოდა გან-  
საკუთრებითი მზრუნველობა: ის მუდამ სუფ-  
თად იყო, გარშემო შემოვლებული ქონდა რკი-  
ნის ზავთულები, ზედ, საფლავზედაც აქა-იქ ყვა-  
ვილები და სხვა ამგვარი მცენარეები გაეჩინა  
ვილაცას ხელს.

სალამო იყო. დღის შრომისგან მძიმეთ  
დაღლილი, სენაკის დერფვანში ვიჯექ და  
ბავშვებს ვეაღერებოდი. უცნობმა გამოიარა,  
სალამი მომცა და საფლავისკენ გაეშურა. მას-  
ში მე დიდი, ძალიან დიდი ცვლილება შევამ-  
ჩნიე: მას აღარ ქონდა ნიშანი აღრინდელი სიმ-  
კვირცხლისა. მისი მიღებული თვალები სადღაც  
კვინისში მიმალულიყვენ. ერთი შეხედულობით  
ის საზარელს ჩონჩხს წარმოადგენდა, მხოლოთ  
იმ განსხვავებით, რომ უშნო ქუდი თავზე უფ-  
რო ჩამოფხატოდა და იქიდან ახლა ჩანდა მო-  
ყვითალო, დიდი ხნის დაუფარცხნელი გველი თე-  
თი თმები. გარეგნობაშიც თითქოს გაბინძურება  
ეტყობოდა: პერანგის საყულო დიდი ხნის გა-  
ურეცხელ-გაუხამებელი, ჩექმები მიქცეულ მოქ-

ცული და, გაუწმენდლობის გამო, გამოწითლე-  
ბული; პალტოზეც ხშირი ტუტა-მტვერი ეყარა.  
შევადარე ამ ადამიანის ახლანდელი მდგომარეობა  
პირველათ ჩემგან მისი ნახვის დღეს, როდესაც  
ის ეტლით საფლავის დასაკვეთად მოვიდა და  
დავრწმუნდი, რომ დღეს ის მხოლოდღა აჩრდი-  
ლი იყო და მეტი არაფერი... ასეთია ძალა გუ-  
ლითადი მწუხარებისა!..

—მე თქვენთან სათხოვარი რამ მაქვს—  
მითხრა მან, როცა საფლავიდან მომავალმა ჩემს  
სენაკთან გამოიარა, —გთხოვთ, მინახულოთ...  
მე დერეფნიდან გავედი.

—ხვალ მე წასვლას ვეპირები აქიდან, რა-  
საკვირველია, სამუდამოთ და, რადგანც მეტი  
დრო და შემთხვევაც აღარ მექნება — გთხოვთ,  
ნება დამართოთ, მოვიდე ამაღამ, ასე შევადამი-  
სას და ერთ ორს საათს დავრჩე, ჩემი მიცვა-  
ლებულის საფლავზე.

—დიდი საამოვნებით. მარა, რომ ვაიგოს  
ვინმე... დამ-დამობით სასაფლავოზე სიარული  
აკრძალულია...

—მჯერა. მარა მაინც, გთხოვთ, მომცეთ  
ნება. გარწმუნებთ, რომ ამას ვერავინ ვერ გა-  
იგებს და იმის შესახებ არც არავითარი პასუ-  
ხის მგებლობა შეგხვედბათ.

საით აპირებთ წასვლას? ვკითხე მე.  
—ღმერთს გეფიცებით, რომ მე თვით არ  
ვიცი. მხოლოთ, რომ უნდა წავიდე, აღარ შე-  
მიძლია დავრჩე, მოვილაღე, მოვიქანცე, ძალა  
აღარ შემწევეს, ლამის ჭკავზედაც შევეცდე, მინ-  
და ჭირს ავცდე, გავერთო საღმე...

კარგი გიფიქრიათ.  
—ეს ყველა კარგი, მარა ჩემს თხოვნაზე,  
რას მეტყვი?...

—მობძანდით, მხოლოთ არავინ გნახოთ.  
ხო მოგეხსენებათ, მეც უფროსი მყავს...

—ვიცი, როგორ არ ვიცი!... გმადლობთ.  
მაშ, მოვალ!.. დიახ, მოვალ, მოვალ ასე თორ-  
მეტ საათზე...

**IV.**

ის ღამე მეტათ მოღუშული, ბნელი და  
ნამიანი იყო. ხან და ხან ელავდა და დრო გა-  
მოშვებით კიდევ გრგვინავდა... ეს იყო გაზაფ-  
ხულის პირველი გრგვინვა... ბუნება და მთე-  
ლი სასაფლავოს არე-მარე რაღაც არა ჩვეუ-  
ლებრივ საშიშროებას წარმოადგენდა. შვა ღამე

\*) იხ. „განთიადი“, № 12.

გადავიდა და უცნობი-კი არსათ ჩანდა... მომწყინდა ლოდინი და ის იყო კიდევ გავემზადე დასაძინებლათ, რო სასაფლაოს გალავანში შავათ მოძრავი აჩრდილიც გამოჩნდა... ნელის ნაბიჯით, აღრევე შეჩვეულის გზით მიდიოდა ის საფლავისკენ და რაღაცას ჩემთვის გაუგებარს მილულუნებდა...

მოვიწადინე გამეგო, თუ რას ჩაიდენდა ამ უკუნ ლამეში საფლავთან ეს მწუხარება-სევდი-სვან გაბორბლებული ადამიანი და მიტოვებულ მას უკან ავედევნე. ის მე ვერ მხედავდა.

—აი, კიდევ მოვედი—დაიწყო უცნობმა საფლავთან მიახლოვების დროს:—მოველი, რომ აღარ წავიდე აქიდან და, თუ წასვლა კიდევლა შეეძლო, უნდა უკანასკნელათ გითხრა „მშვიდობით!“.. უკანასკნელათ იმისთვის, რომ მე აღარ მაქვს ძალა აქ დარჩენისა, უნდა მოვშორდე ამარე-მარეს, მოგშორდე თვით შენც...

უკანასკნელი სიტყვები ჯერ კიდევ დათავებული არ ქონდა, რო საკვირველი რამ მოხდა: საფლავი შეინძრა და რაღაც უცნაური სხივით განათლდა ის. მე შიშისგან ზარდაცემულმა არ ვიცოდი, რა მექნა. უცნობიც ენა ჩავარდნილი იდგა და ორთავე ხელებილა ქონდა გავშვრილი საფლავისკენ. როდესაც გამოვერკვიე, ვნახე, რო საფლავზე თეთრ ლეჩაქში გახვეული აჩრდილი ამართულიყო; თმა-გაშლილი, ცალს ხელში ეჭირა ბზის ტოტი და შერეში-კი რაღაც ყვავილი...

მოხვედი?!.. მერე და რაღათ იწუხებდი თავს—დაიწყო ნელის ხმით თმა-გაშლილმა აჩრდილმა:—ხო ხედავ, რო მე მდუმარე ვარ და შენს მოსვლა-წასვლას არ ვხედავ.. დღეს, რა დღეა?!.. **შვიდი აპრილი**, არა?!.. შვიდი აპრილი!.. ხო გახსოვს ეს დღე?!.. თუ გახსოვს, ისიც გეცოდინება, რო მე შარშან შვიდს აპრილს, ნაშვადღევის ორს საათზე გითხარ შენ უკანასკნელი მშვიდობა, გითხარი მისთვის, რომ მეტათ აღარ შემეწუხებო, მეტათ აღარ დამესაჯე. მე სრულებითაც არა მქონია სურვილი, რო შენ შვიდს აპრილს აქ კიდევ შეგეწუხებინა ჩემთვის თავი და გველო ჩემს სამუდამო განსასვენებელ ადგილზე... ან, რა საჭიროებას და სარგებლობას ხედავ ამაში?!.. ნუ თუ გგო-

ნია ამით შენს წარსულს დაიბრუნებ, ან დაკარგულს ნახავ?... არა და არა... გახსოვდეს და იცოდე, რო წარსული არ დაბრუნდება და დაკარგული არ მოიპოვება.

—მარა, რათ?!.. რისთვის?!.. რისთვის— შებღალა მას აკანკალებული ხმით საბრალო უცნობმა.

რათ და რისთვისო?!.. მარა, რაში გჭირდება ახლა მაინც ეგ ორ პირობა?—განა არ იქმარე ის, რაც იყო?!.. ახლაც-კი, როდესაც მე მიწიერს აღარ ვეკუთვნი, როდესაც მიწიერი აღარა მწამს რა, როდესაც ჩემთვის სულ ერთია სათქვენოში, რაც უნდა ხდებოდეს, ახლაც-კი ცბიერობ და ორ-პირულათ მეკითხები: „რათ?!.. რისთვისო“?!.. სირცხვილი, სირცხვილი ორ-პირობას, თუ კი მას შეუძლია სირცხვილი იგნოს. მე და შენ ჯერ-ჯერობით ხო სამართალში არა ვართ და რა საჭიროა ამგვარი კითხვები მაშინ, როდესაც შენ ჩემზე ნაკლებ არ იცი, რა, რათ და რისთვის მოხდა...

—გეფიცები ღმერთს, რომ არ ვიცი.

—რაო?!.. ეგ-კი რაღათ დაგჭირდა?!.. ან რომელს ღმერთს იფიცავ? იმას, რომელიც შენ და მრავალ შენისთანებს მხოლოთ საფიცრათ გყავთ, თუ იმ ღმერთს, რომელიც არა ცრუსაფიცარი, არამედ ქვეშაირი ღმერთია?!.. იცი, ძალიან კარგათ იცი, იცი ისე, როგორც ყველა მამა-კაცებმა იცის, რო ის მამაკაცია და, მაშასადამე, მტართვალ ბატონიც. მარა მაინც კითხულობ და უსირცხვილოთაც ფიცსა სდებ.. მარა რა, რა საჭიროა ყველა ესენი. სულ ერთია: მე ხომ ასე, თუ ისე ანგარიში გასწორებული მაქვს, სათქვენქვეყნო აღარა მმართებს რა, დეას არ ვაცხადებ, არც მჭირდება დავა და არც ძალა მაქვს დავისა... მაშ, რისთვის არღვევ ჩემს მდუმარე მყუდროებას და რათ იწოდებ ჩემს ტანჯულს აჩრდილს?..

—მე მსურს, მწაღია გავიგო მიზეზი ჩემის უბედურებისა, მე მინდა ვიცოდე ჩემი შენთან დანაშაური, ვიცოდე....

... რაა?!.. რა გსურს?!.. რა გწაღია იცოდე?!.. ის, რაც დიდი ხანია იცი და კარგათაც იცი. მარა მაინც არ გინდა, რომ იცოდე?

ეგეც ერთი სასირცხო მოქმედებათაგანია... მაშ, კარგი. მე გეტყვი და შენ-კი მისმინე, აღრე თავხედო და გვიან გონს მოსულო, მამა-კაცო!. გახსოვს შენ 3 სექტემბერი 18.. წლისა?..

—მახსოვს, მახსოვს!.. ეგ ხო ჩვენი ქორწინების დღეა!..

—თუ გახსოვს, ესეც იცოდე, რო ჩემი ბედ-იღბალი იმ დღეს გადაწყდა. ამ დღეს ჩაიწერა ჩემი ბედის წიგნში 7 აპრილი 19...წ... გახსოვს, ეკლესიიდან რო დავბრუნდით, ცხენზე ხელი მომკიდე და მითხარი: „ფრთხილათ, გენაცვა, არ გადავარდეთ“... მე კი სიცილ ხუმრობით გიპასუხე: „ცხენიდან მე არ გადამოვარდები, მხოლოდ შენ-კი არ გადამაგდომეთქი“!.. — დიახ!.. სამი სექტემბრიდან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება, ის ცხოვრება, რომელმაც მე შვიდს აპრილამდი მიმიყვანა.. იცი შენ სამ სექტემბერს შემდეგ, რა, ან ვინ იყავი ჩემთვის?.. მე შენ თაყვანსა გცემდი, როგორც ღვთაებას და გმორჩილებდი, როგორც ბატონს—ყმა... შენც იცოდი ეს და იცოდი მისთვის, რო, როგორც მამაკაცი, დარწმუნებული იყავი, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და კიდევ იყავ ჩემთვის ნამდვილი ღვთაება და ნამდვილი ბატონი...

—ცილის ნუ მწამებ, სულს კეთილს, მე ვიყავ მხოლოდ შენი კეთილი ამხანაგი, მოყვარული, პატივისმცემელი და არა ღვთაება და ბატონი...

—კეთილი ამხანაგიო?!.. სასაცილოა, რო სიცილი ჩემგან შეიძლებოდეს... მამაკაცის და დედაკაცის კეთილი ამხანაგობა მხოლოდ სიტყვებია, სიტყვები და სხვა არაფერი... და მაგ სიტყვებით უხვევთ თქვენ თვალს ბრმათ დამონებულს დედაკაცთ... კეთილი ამხანაგიო!.. დიახ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ისინი ამხანაგი იყვენ. მარა საქმით-კი, რა ხდება თქვენში?.. სად არის ეს კეთილი ამხანაგობა, რომელიც ენაზე გაკრავთ და წამ-და-უწუმ გაიძახათ?.. სად არის, მითხარი ერთი? ან არა და დამისახელე: თუნთ ერთიც არის საქმედ-და-მიწაზე, რომელშიაც ეს მხოლოდ სქესით გასხვავებული ადამიანები იყვენ ნამდვილი ამ-

ხანაგები, ტოლ-სწორნი უფლებით და მდგომარეობით...

მოყვარული იყავ?.. ესეც სასაცილოა. სასაცილოა, მარა მეც დაგიმოწმებ, თუგინდა, რო შენ იყავი ჩემი მოყვარული, დიახ, იყავი.. მარა... როდის და რისთვის? ვთქვაა?.. განა ცხოველური ჯინის მოკვლა სიყვარულია?.. ან არა და ეს შენი და ვითომ სიყვარული მართო ჩემს საკუთრებას შეადგენდა?.. განა იმავე ცხოველურს ჯინს არ იკლავდი შენ სხვა მრავალ ჩემს მსგავსებთან?.. დაგისახელო, თუ? მართალია, შენ იყავ ჩემი მოყვარული, მარა იმდენათ, რამდენათაც ეს შენთვის იმ დროს საჭირო იყო. სხვა დროს-კი, რა ვიყავ მე?.. უბრალო ავეჯი, უბრალო ნივთი, ის ნივთი, რომლითაც სარგებლობენ მხოლოდ საჭიროების მიხედვით, სხვა დროს-კი სადღაც უყურათღებოთ და უმნიშვნელოთ მიგდებულა ..

ვინ მოთვლის, რამდენი უძილარი ღამეები ვამიტარებია, რამდენჯერ ყოფილვარ მოუსვენრათ და ყოფილვარ-კი მხოლოდ იმიტო, რო შენ ამავე ღამეებს სხვებთან ატარებდი, სხვებთან იკლავდი შენ ცხოველურ ჯინს და მაზე-კი სულაც არ ფიქრობდი, რომ ეს შენი მოქმედება ჩემთვის დამამცირებელი სიკვდილი იყო, რომ ამით შენ ჩემ სიცოცხლეს ტანჯვაში ამოკლებდი და ნელ-ნელა მიგყავდი შეიდ აპრილამდი... ახლა-კი ბავშური გულუბრველობით, თითქოს არაფერიც არ ყოფილიყოს, კიდევ კითხულობ: „რათ?.. რისთვის?“.. და არც კი გაწითლებს ამგვარი კითხვები. რისთვის მაშინ არ იძლეოდი ამ კითხვებს, როდესაც ჩემი ხვეწნა და მუდარა გესმოდა, რო დაგენებებინა თავი, მოშორებოდი მათ, ვისთანაც, ჩემდა დასამცირებლათ, ღამეებს ატარებდი და შენს ჯანსა და ღონეს ლევდი? გვიანაა, გვიან... კიდევ ბევრს იფიქრებ შენც და მრავალი სხვა შენი მზგავსნი... მარა გონს მოსვლა კიდევ მაინც გვიან იქნება!.. პატივისმცემელი ვიყავიო,—ამბობ. მარა ესეც მითხარი: რა არის პატივის ცემა?.. ის ხომ არა, რო მე შენთან არ მომშიენია, ან ჩაუცმელი არ

ყოფილვარ?.. თუ მარტო ეს გეგონა პატივისცემა—საბრალო ყოფილხარ. ამგვარი პატივისცემით მხოლოდ პირ-უტყვის დაკმაყოფილება თუ შეიძლება. მარა მე ხო პირ-უტყვი არ ყოფილვარ. მე ადამიანი ვიყავი, შენი ამხანაგი, შენი შეიღებოს დედა და, მაშასადამე, მარტო სმა-ქამა, ჩაცმა-დახურვა და ტკბილი, ცბიერი ენა მე ვერ დამაკმაყოფილებდა... ჩემი ბუნება, როგორც ადამიანის, მოითხოვდა სხვა რაიმე ადამიანურს. და ეს „სხვა რამე ადამიანური“ შენ-კი არა გწამდა. ვინ იცის, იქნება, მე ბრალსა მდებ, ჩემს მოქმედებას სისულელესაც ეახი და ამბობ: „არ შიოდა, არ წყუროდა, არა უჭირდა რაოო! მართალნი ხართ ვითოო?.. არა, არა ხართ მართალი. მართალია, ჩემი კუჭი მშიერი არაოდეს არ ყოფილა. მარა სულით-კი მუდამ მშიერი ვიყავი. მართალია, ფიზიკურათ არ მომწყურებია. მარა მწყუროდა სრული ადამიანობა, მწყუროდა შენთან ყოფნა, შენთან ცხოვრება და შენ-კი ჩემს წმიდა გმობას არ აფასებდი... მე შენ გაღმერთებდი, როგორც ქმარს და შენ-კი მიყურებდი, როგორც საქიროების დროს სახმარ ნივთს და, ამას გარდა, სხვა სალახანებზედაც მცვლიდი... ველარ ავიტანე, ველარ შევძელ და, აი, კიდევ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... აწ მაინც ხომ ორ-პირულათ აღარ იკითხავ: „რათ?.. რისთვისო?.. მიზეზი იცი და კიდევ იკმარე.

შეტს, რას ითხოვ ჩემგან, ან რა გითხრა?

გათავებულა ჩვენს შორის ყველაფერი. მე აქ წამოვედი და შენ-კი მანდ დარჩი, დარჩები კიდევ რამდენიმე ხანს... დიახ, რამდენიმე ხანს და ეცადე არ უღალატო შენს ზნეს, შენს ჩვეულებას... ეცადე, არ მოშორდე იმ წუმპეს, რომელშიაც ნებივრობდი... ამას მოითხოვს შენი და მრავალი შენი მზგავსის ბუნება... ეცადეთ შენ და შენმა მზგავსებმა მრავალნი შემფერნი მიიყვანოთ შეიღს აპრილამდი და შემდეგ კი... იარეთ სასაფლაოზე... ჩემთვის სულერთია ახლა, მარა მაინც გეტყვი: ჰოი, საბრალო ადამიანო, რო დროა შეიგნო და შეიგნოთ, რო კეთილი ამხანაგობა საქმით უნდა და არა მარტო ცილიერი სიტყვით. სიყვარული წმიდა და გულითადი; პატივისცემა არა ხორაგით, ქინქა-ქუნქათი და ცბიერი ენით, არამედ ღირსეული, ადამიანური და უპირმოთნო... სანამ-კი ეს ასე არ მოხდება,—მამა-კაცთა ზნე-ჩვეულება ჩემგვარ სხვერპლს არ გამოლევს... ახლა-კი—ნახვამდის!.. შენც აქ მოხვალ და, ჩვენი გასამართლებაც აქ მოხდება... ვნახოთ, რით იმართლებთ შენ და შენი მზგავსნი თავს... მარა გაგიკირდებათ-კი თავის მართლება: აქ ხომ ენას, გამბედაობას და ტყვილ აზრთა წყობას გასავალი არა აქვს!.. აქ სულ სხვაა და ეს სხვა, იცოდე, არ მოიწონებს მრავალი მამაკაცის მოქმედებას... უფრთხილდით ამ სასამართლოს!..

თვალის დახამამების უმაღლვე, აჩრდილი გაქრა და სინათლევ წყვდიადით დაიფარა.

თავ-თეთრი.

## მიქრის ჟამი.

მიქრის ბედი ბედკრულ ქვეყნის,  
 მიქრის ჟამი ცვალებადი,  
 საუკუნე მოსხლტდა ბინდსა,  
 ძლეულ მწუხრში დანაბადი.

ცის ქაოსი, შავათ შლილი,  
 ოტარიდსა ზეწარს ფარავს,  
 ყოფნის საფლავს, გლოვით მოსილს,  
 სივრცის ზღვაზე ფიქრათ სახავს...

ლამის ბინდზე ამოქარგა,  
ქენჯნის ზვირთმა ვნების ტალღა,  
გლოვის ეტრატს ცეცხლის ბურთმა,  
ჩაუქროლა მწუხრის ღალღა...  
ყრუ ღუმელში ჩაისახა,  
ქვეყნის მწარე ამოცანა,  
თრთოლავ სივრცეს უქკნობ ვარდმა  
ვარსკვლავთ ხომალში გაუცინა...

ვინ გამოსცნობს, ვინ გაიგებს, ცის ქაოსი, რას ინახავს,  
მის ზღაპარსა, უსრულებელს, სიზმრის ბინდზე, ვინ დასახავს,  
ვინ მოქარგავს ცისეტრატზე ცეცხლის ნაკვეთს, ელვით რხეულს,  
ვინ დაფარავს ხელთქმნილ ზვირთზე სვედის გემსა გძნებით

ძღვეულს...

წყვედიად მოცულ ფიქრთ ქაოსში ტრფობის ღიმი ჩაიკარგა,  
ვარსკვლავთ ხომლი მოციმციმე ბნელ უფსკრულში მიიკარგა,  
ელვით რჩენილ ცეცხლის შუქსა, სიო ნაზათ დანარჩარებს,  
ხან ჩააქრობს ცის უფსკრულში, ხან კოცნათ აელვარებს.

ღელავს ზვირთი, ღელავს ქველი,  
ღელავს გული იმედთ სავსე,  
ვნების კოცნა, სულის კრთომა,  
ანაწონი ელინთ ზევსზე—  
მითხართ, მითხართ, ვის მივანდო  
გძნობა ჩემი, ფიქრთ აღსავსე,  
ყოფნის კახა მონატყორცნი,  
ზღვათა მუზით ვერ ავავსე.

გამოვექეც ქვეყნის ბედსა,  
მივქრი, მივქრი ცის სივრცეში,  
ცეცხლის აკვანს ვინახულებ,  
გამოქედლილ მიწის ფიქრში...  
ღრუბელთ ზღვაში ვიცურავებ,  
შვების ზეფირს ავატოკებ,  
ცხოვრებისა მჩქეფ ტალღებსა,  
უძლევე კლდესა მივახეთქებ...

ქ. კივი.

ს. ტაიფუნი.

### ბ ა ბ ო. \*)

გავიდა რამდენიმე დღე. ბაბო სავათმყოფოში აღარ ჩნდა. ავათმყოფები გულის ტკივილით იგონებდნენ კეთილს, მოსიყვარულე დასბაბოს. გაიღებოდა კარი, თუ არა, ყველა თვალს უნებლიეთ იქითკენ შიშვარობდა იმ იმედით, რო ბაბოს დაინახავდნენ. მარა ამაოთ. კარებში ანეტა, ან სხვა მოსამსახურე გამოჩნდებოდა. ბაბოს შემდეგ, იმ დარბაზის მეთვალყურეთ,

სადაც მიხა იწვა, ანეტა დანიშნეს. მარა იგი იშვიათად, თუ შევიდოდა შიგ და მისი მომლოდინე ავათმყოფები საათობით რჩებოდნენ უბატრონოთ, მოუვლელათ. როცა შამოვიდოდა, მაშინც უკმეხათ ექცეოდა მათ და საჭირო ყურათღებას არ აქცევდა.

— ეჭ, ეჭ... სადა გვეყავს ჩვენი ბაბო, ჩვენი საყვარელი და, — ხშირათ გაიგონებდით ხოლმე მათ ასეთ ბოლმით სავსე სიტყვებს, ანეტას დანახვებ.

— ბაბოსთანა აღამიანს იშვიათად შეხვდები კაცი, დასტურს მიცემდნენ სხვები.

\*) იხ. „განთიადი“, № 13.

—რატო წავიდა აქიდან, ნეტა, ბაბო?

—თურმე, ჩვენი მკურნალი ყვარბია, მოუტყუილებია იმას და სირცხვილით ველარ მოიცადა—აქ... როგორც ამბობენ, მოწინავე-რაზმში ჩაწერილა.

—ცოლ-ქმარსავით ცხოვრობდენ, თურმე!.. საბრალო ქალებო!.. რა გულ-უბრყვი ღონი არიან....

—ანგელოზი იყო, ნამდვილი ანგელოზი.

ცოდვა არაა, ასეთი ქალის მოტყვილება?!...

—ეს, ჩემო ძმაო, ნადვლიანათ შენიშნა მოლაპარაკეთ მიხამ, რომელსაც ბაბოს თავზე უბედურების დატრიალების და წასვლის შემდეგ, პირზე ღიმიც არ მიკარებია.—ახლანდელი მამაკაცები—კაცები კი არა, მხეცები არიან, მხეცები, ადამიანის სახით.

იგინი რო ასეთ საუბარში იყვენ, გულის ტკივილით იგონებდენ ბაბოს, ეს უკანასკნელი იმ დროს პირდაპირ ბძოლის ველზე იმყოფებოდა და დაუზოგველათ მუშაობდა განუწყვეტელ ტყვიების სეტყვის ქვეშ.

მან ვერ აიტანა ის შეურაცხოფა, რომელიც ასე უდიერათ მიაყენეს მას. და გადაწყვიტა ტყვიას დადგომოდა პირისპირ, რო რომელიმე იმათგანს სამუდამოთ გაეცივებია მისი გრძნობიარე გული...

მან დაკარგა ყველაფერი ცხოვრებაში: დედა, მამა, დაი; გიგლაც, რომელიც გაგიჟებით უყვარდა; ყველანი გათელა, ყველანი შეურაცყო და ზვარაკათ შეეწირა „მკურნალ კატენიკოვს“, რომელმაც უსინიდისოთ შებღალა იმისი პატიოსნება, თავ-მოყვარობა და წაართვა ერთად-ერთი საუნჯე გასათხოვარი ქალისა—ქალწულობა.

ბაბომ სიკვდილი ამჯობინა ასეთ შეურაცყოფილ სიცოცხლეს. მარა არა თვისი ხელით, არა. თვითმკვლევლობა ვერ გამოისყიდდა მის დანაშაულს და ლაჩრობაც იქნებოდა ასეთ დროს.. არა... იგი მხარში ამოუდგება თავის ძმებს, რომელნიც ასეთათასობით იხოცებიან ბძოლის ველზე, წყლულს მობანს-დაუამებს

მათ, გამამხნეველ სიტყვას ეტყვის და მშობლიურ ლოცვა-კურთხევას, საბრალო დედის ნაცვლათ, სიკვდილის აგონიაში მყოფ გმირის საიქიოს გაატანს.

და, თუ მტრის ულმობელი ტყვია, რომელსაც იგი მაგრე რიგათ დაეძებს, მის გზნებარე გულსაც არ აცდება, მაშინ იგი დამწვინდებულათ შეეგებება სიკვდილის ანგელოზს და სამუდამოთ გამოირდება ამ ქვეყნიურ ზრახვებს და უნამუსობას...

### XX.

ბაბო რო მოწყალების დათ წავიდა მოწინავე რაზმში, ჩვენი ჯარი მაშინ საზღვარზე იყო მისული და ზოგან გადასულიც. მთელ ხაზზე პოზიციებს ამაგრებდენ და დღე-ღამეზე მოელოდენ გენერალურ ბძოლას. შედარებით სიწყნარე სუფევდა. ეტყობოდა, მტერიც ემზადებოდა შეტევისთვის.

ერთ-ერთ პატარა სოფელში, რომელიც ორიოდ ვერსტის მანძილზე იყო დაშორებული საზღვარს, გამაგრებულიყო ჩვენი მოწინავე რაზმი. რადგანც თავს მტრის სიახლოვეს არ გძნობდენ, ჯარის კაცები თავისუფლათ გაშლილიყვენ სოფელში და ვინ (პალტოში) მხარში თავიან-ფეხებიანა გახვეულიყვენ და იქვე ღია ცის ქვეშ მიგდებულიყვენ. ვინ ქოხების აივანზე და ვინ-კი უფრო ბედნიერები თვით ქოხებში-მოთავსებულებიყვენ.

ერთ სოფლის განაპირათ მდებარე სახლში, რომელიც შედარებით კარგი ნაშენი და სუფთა იყო, აფიცრებს მოეკალათა თავი. ერთი იმათგანი დანჯღრეულ ტახტზე წამოწოლილიყო და უდარდელათ ხვრინავდა. მეორე-კი წვირისგან გაშვებულ მაგიდას მიჯდომოდა და უბის წინგში რაღაცას იწერდა.

ქოხის ერთ კუთხეში (საგებისებურ) ძონძებში გახვეული დედაბერი კრუსუნობდა.

იგი დისახლისი იყო.

მას ამ სამიოდე კვირის უკან ორი დავაშკაცებული შვილი მოუკლეს ბძოლაში. მტრებმა მოხუცი ქმარიც არ დაინდვეს და შეუბრალებლათ ააცვეს ხიშტზე.

დედა-ბერი დრო გამოშვებით შვილების

სახელს წამოაბოდებდა ხოლმე, საცოდავთ მოიკრუნხებოდა ლოგინში და მომაკვდავ აღამიანივით კვნესოდა.

ახალგაზდა აფიცერი, რომელიც მაგიდას უჯდა, დედა ბრის წამოაბოდებაზე, გულტყვივნეულათ ვადიხედავდა მისკენ, — „საბრალო, დედა,“ — მწარეთ ჩაილაპარაკებდა და ისევ წერას განაგრძობდა.

ეს აფიცერი, ჩვენი უკვე ცნობილი გმირი, გიგლა გახდათ, რომელსაც თვისი გამჭირაობით და შეუღარებელი გამბედაობით ბძოლაში აფიცრის ხარისხი მიეღო და ახლა მოწინავე რაზმს უფროსობდა.

კოტა ხანიც და გიგლამ წიგნი დაეცა, უბის ჯიბეში ჩაიდვა და ის-ის იყო უნდა დაწოლილიყო, რომ უეცრათ ქოხის კარები გაიღო და ქშენით შიგ ჯარის კაცი შემოვარდა.

— მტრები! — დაიყვირა მან და მეტის თქმა ვეღარც მოახერხა.

— მიშველეთ... გერმანელები... ოხხ!... — საწყლათ დაიგმინა დედა-ბერმა, დაკონკილსაბნიდან თავი გამოყო და ახალ-მოსულს აცრემლიანებული თვალებით შეხედა.

თვალის დახამხამების უშალ, აფიცრები შევარდულ სოფელში გაჩდენ და ბძოლის თადარიგს შეუდგენ.

— „წინ ყმაწვილებო! ვხ ათაკუ !... — გაისმა ღამის წყვდიადში გიგლას მქუხარე ხმა, როდესაც ჯარის კაცები მოგროვდენ. მას მოყვა მუსიკის გამამხნევებელი ჰიმნი და გალომგულებული მეომრები მედგრათ ეკვეთენ მტერს.

შეტევა ისეთი ერთსულოვანი, ძლიერი და მედგარი იყო, რომ ერთის მოსმით მოსრისეს მტრის პირველი წყება, რამაც შინის ზარი დასცა მათ.

სასტიკი ბძოლა გაჩაღდა.

ორივე მხარე თავ-გამოდებით უტევედა და პირველობაში ერთი მეორეს ეჯიბრებოდა.

ისმონდა ხიშტების გულშემშარავი რაჩხარუჩხი, ყვირილი... კვნესა... გოდება... ჯოჯოხეთი...

გიგლა წინა რიგში იდგა და გააფრთხებული იბძოდა. მას ცალ ხელში რევოლვერი

ეჭირა, ცალშიკი ხმალი, რომლითაც წალმაუკუღმა კაფავდა მტერს.

ერთ ადგილას მან თვალი მოკრა ახალგაზდა მეომარს, რომელსაც რამდენიმე გერმანელები გარს შემოხვეოდა და ეს-ეს იყო უნდა აეკუწათ. იგი ლომივით ომობდა.

მისი ხმალი, ხან მარჯვნივ ელავდა, ხან მარცხნივ და მიზანს არ ცდებოდა.

ორი მტერი კიდევ დაეცა თავ-გაფატრული უსულოთ. დანარჩენებმა მეტის ენერგიით შეუტრეს მას; ეს-ეს არის უნდა დასცეს მას უკანიდან ხიშტი და სამუდამოთ გამოასალმოს წუთი სოფელს, რომ ამ დროს, თვალის დახამხამების უშალ, ისკუპა გიგლამ და ერთის მოქნევით ორათ ვაპო იგი. მეორეთ მომართა ხმალი და უნდა დაეცა მეორისთვის, რომ ამ დროს მან უკანიდან ტანში რალაც კივი საგანი-იგრძნო.

ამართული ხელი ჩამოუვარდა, მთელი სხეული მოუდუნდა, თვალებზე ბინდი გადაეფარა და უგრძობლათ იქვე ჩაიკეცა.

აღმოსავლეთი ტრედის ფრათ შეიმოსა. ალიონზე გადასული იყო და კოტა ხანში მოციმციმე მზის სხივები გაფანტავდა ღამის წყვდიადსა...

ბძოლა მეტის სიმკაცრით წარმოობდა.

თანაბრათ ძლიერი მოპირდაპირენი შეყრილიყვენ და გამარჯვებას არც ერთს არ უთმობდენ.

— მოდიან... მოდიან... კახაკები, — მოისმა ამ დროს აფრთოვანებული ძახილი და ჩვენები მეტი ენერგიით ეკვეთენ მტერს.

კოტა ხანიც და ბძოლის ასპარეზზე მშველმა ჯარმა ერთის კიყინით და აურ-ზაურით ცხენები შემოაქუნეს...

მტერმა ვეღარ გაუძლო მოწოლილ ძალას და იძულებული გახდა უთავბოლოთ უკან დაეხია. ბძოლის ველზე დატოვეს ბევრი მოკლული, დაჭრილები და ამუნიცია.

(დასასრული იქნება.)

გ. მბრალიძე.

# დაპარბული გედნიერება.

(პოემა პროზათ.)

ის შეენიერება იყო!

საროს ტანი თეთრი სამოსლით იყო დაფარული, განიერ ნაოქვებით მოფენილი...

ის პოემა იყო... ის იყო ოცნების ყველითა სიტუორფე. სადამოთი, როცა ქარიშხალი საშინლათ ქროდა, თეთრ ღრუბლებს ფანტავდა და თოვლის ფიფქი ნელათ, სუბუქათ ეშვებოდა მწუხარე ციდან დედა-მიწაზე და თეთრ სამარისებურ ზეწარს აფენდა... ის ნელათ, ჩუმათ შემოიპარებოდა ჩემს ოთახში, ბუხარს მიუჯდებოდა, თვის ღიდრონ შავ თვალებს ცეცხლის აღს მიაპკრობდა, და მისი ნაზი, მომღიშარი სახე აღმასივით გაელვარდებოდა!.

რა გრძნობიერი რამ იყო!.

რა თვალ წარმტაცი სახე...

რა თვალეში!..!

იმ თვალეშმა წარიტაცეს ჩემი გულის მშვიდობა, ხშირათ ფერს იცვლიდენ, როგორც უძირო, ღრმა ზღვა... მისი თმები წითლათ ელვარებდენ, ხან-კი ბურუსი მოიცვამდა დ გძელ, შემოდგომის ღიდრონ ღამეებში მე რაიალს მივუჯდებოდი და თავ დავიწყებამდი ვუკარავდი, ვტიროდი...

ვკვითინობდი!..

ისე, ვით შემოდგომის უნუგეშოთ მოწყვეტილი ფოთოლი... ამ ხმებით მე ვუმღერდი მას სიყვარულზე, ქარიშხალივით ძლიერ რწმენაზე და ბედნიერებაზე... და ის... ის გატაცებით ყურს მიგდებდა... დრო გამოშვებით მალლა თავს აიღებდა, თვისი მინაბული თვალეებით შემაქტერდებოდა, გაბწყინებული ბედნიერების ცრემლებით და სიყვარულით. ჩუმ, ყულრო ოცნებით სავსე ღამეებს, ვაზაფხულის სურნელებით გაჟღენთილ ღამეებს ჩვენ ბაღში დავსეირნობდით. რა კარგი იყო მაშინ!

ყურს ვუვღებდით და ვტკებოდით ბულობულის საამური სიმღერით.. იასამანის ყლორტი ინაბებოდა და მისი ნაზი სუნნი ვარსკვლავებამდი წვდებოდა და თვით ისიც თრთოდა, კანკალებდა, ბედნიერებისა და სიტკბოებისგან.

ზაფხულობით გაელვარებულ მზის სხივებში ვბანობდით, ვისხედით ოქროსავით აბიზინებულ ჯეჯილში, და რამდენს არ ვლაპარაკობდით...

ფრინველთა მთელი გროვა დამტყვევებელ ჰანგებს გალობდა და ტოროლებიც სიამით რალაცას გვაცნობებდენ, ჟღერტულებდენ, თავს შვების გვირგვინებით გვიმოსავდენ...

გარშემო-კი მხოლოთ ატეხილი ქალები და ჯეჯილი...

ხანდახან ჩვენ ხშირ ტყეში ამოგყოფდით თავს და სხვებიც ღინჯათ, მტკბარათ მოგვითხრობდენ ძველ საკვირველ ზღაპრებს.. ხან-კი უეცრათ ხელიდან გამისხლტებოდა იგი და ცივ, ანკარა მთის ნაკადით თავს გაიგრილებდა... კისკისებდა...

იცინოდა...

შემოდგომაზე-კი!..

ჩვენ მწუხარეთ დავიარებოდით გახიზნულ ხეივანებში და სევდიანათ, გლოვით შევცქეროდით გაყვითლებულ ჩამოცვივულ ფოთლებს. მისი მზიური თავი ყოველთვის ჩემ მხარზე იყო ჩამოდებული და მისი უძირო ღრმა თვალეში ხშირათ მიაჩერდებოდენ ვარდის ფრათ მოვარაყებულ ცას. მე იგი თავ დავიწყებით მიყვარდა!..

ღმერთო!. რა რიგ მიყვარდა მე იგი!..

თითოულ ყვეილში, ხეთა ფოთლებში, ვარსკვლავებში, უძირო ზღვაში მე ვხედავდი მხოლოდ მას, ჩემს სიყვარულს, თითოულ ხმაში მე ვუსმენდი მას...

და იგი იყო!.. ახ! მე-კი სრულიათ გადამავიწყდა, რომ იგი არა ყოფილა, ეს მხოლოთ ოცნება... ავათმყოფი ოცნების ნაყოფი იყო.

ცალიერი ოცნება!..

მე გიჟი ვიყავი, შეშლილი... ხალხმა მოველა დამიწყა. იმან გამკურნა...

მარა ამ გაკურნებასთან ერთად, წარიდეს, წარიტაცეს ჩემი ბედნიერება, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიყვარული.

უგნურნი!..

რეგვენნი!..

ს. ტაიფუნი.

# გმირები.

(ხალხური ლექსი, გაგონილი ს. ა-ნში).

თრიალეთიდან წამოვა თორმეტი ვაჟი  
მთისაო;

არ ურევია სხვა მხრისა, ყველანი არაგვისაო.  
ღართის კარს, რო მოაწიეს, სიცხე დაბრუნდა  
მზისაო.

აქ ვისაუზმოთ, ბიჭებო, შიში არ არის მტრი-  
საო.

იქვე ზის სამოცი კაცი, ურჯულო და-  
ღესტნისაო;

წამოიშალენ ლეკება, ეღვა შეიქნა ხმლისაო...  
გოშპარიშვილი ნინია ცხენზე ქარივით ქრისაო;  
შალანსა ხელი გაიკრა, ცხვრებივითა სკრის  
ყელსაო...

ურჯულო შეეფალავნა, ნინიამ დასცა  
ძირსაო.

ურჯულოს თოფი გავარდა, ადამი დასცეს  
ძირსაო.

ვთქვათ, ადამის ბრალი იყო, გაუმაძღარის  
მზისაო.

ან დედას ვინ შეუნახავს, ან მის ახალსა  
ქერვისაო...

# საღაპრო წერილები.\*)

(დასასრული)

ერობისაც იგივე ითქმის. რამდენად ჩაუ-  
ნერგეთ სოფელს საზოგადოებრივ ცხოვრების  
და სწავლა-განათლების სიყვარული? ჩვენი ხალ-  
ხი ბუნებით, გვარტომობით კეთილშობილია.  
ქეშმარიტად გულშემატკივარი მოღვაწე სულ  
მცირე ხანში მოირეწეს სოფლად მოღვაწეობის  
კეთილ ნაყოფსა. აპარლების და სხვა მაჰმადი-  
ან ქართველთ უბედურება ჩვენი ბრალიც არის!  
ორმოცი წლის განმავლობაში ვერ გავსცილ-  
დით ბათუმს და ახალ-ციხესა, ვერ მოვახერხეთ,  
ფები შეგვედგა მაჰმადიან ქართველთ სოფლებ-  
ში, მათი საკიბობოროტო საქმე ადგილობრივ

შეგვესწავლა, სულიერი ერთობის დასამყარებ-  
ლად მიგველო ყოველი საკულტურო ღონის  
ძიება. განა საკვირველი არ იყო, რომ სწავლა-  
განათლება ისე მოედო გურიას და ისე მოე-  
რიდა აჭარას და, საერთოდ, მაჰმადიან ქართვე-  
ლობასა? იტყვიან, მუსულმანობის ბრალიაო.  
მაგრამ სარწმუნოებრივ დაშორებული ძმების  
დაახლოება შეიძლებოდა მათივე სარწმუნოების  
პატივისცემითა, მით, რომ მათი გათქმული  
მოღვების ცხოვრების აღწერა და მათი ქართუ-  
ლი ქადაგებანი დაგვებეჭდა, მათი ზეპირ-სიტ-  
ყვაობა ლექსები, თუ ზღაპრები შეგვეკრიფა და  
გამოგვექვეყნებინა, მათი ზოგიერთი გამოჩენი-  
ლი საზოგადოებრივი მოღვაწის ცხოვრება  
შეგვესწავლა და ისიც გაგვეხადა ერის სამკვი-  
დრებლად. ამ გვარად, საფუძველი ჩაეყრებოდა  
მათებურ საერო, თუ სასულიერო მწერლობას,  
რომელიც შემაერთებელ ხიდად გაიდებოდა სა-  
ერთო ქართულ მწერლობასთან. საქართველოს  
დანარჩენ კუთხეებში სწავლა-განათლების დაქვე-  
ითება შეუძლებელია აიხსნას მარტო ოდენ  
ხალხის უხალისობით. უეჭველია, საქართვე-  
ლოს ასეთ ჩამორჩენილ კუთხეებს მოკირანახუ-  
ლე ნაკლებათ ჰყოლია.

კაცი მარტო ჰამაშიაც ბრალიაო, უთქვამს  
ჩვენს ხალხსა. განა ამის შემდეგ, წარმოსადგე-  
ნია, რომ არ ჰქონდეს ერთობლივ ერთმანერთის  
დახმარებით საქმისკეთების, მისი სარგებლობის  
შეგნება? მამითადი (იმერეთში ნადი), ხანული  
და სხვა ამგვარი სასარგებლო ჩვეულება ჭირში,  
თუ ღვინში სოფლი კაცის გულის გამკეთებელი,  
ნუ თუ არ წარმოადგენდა მადლიან ნიადაგსა,  
რომ კოოპერატივები საქართველოში ადრით-  
განვე გამრავლებულიყო? ეხლა-კი რას ვზხე-  
დავთ? ჩვენი სოფელი ისევ ჩარჩების ხელშია  
ასე, რომ ვერ მოგვიხერხებია ის სამრეწველო  
მასალა, რომელსაც სოფელი ჰქმნის, თუ შინ-  
ვე ვერ დავვიმუშავებია, ოხრის ფასად მაინც  
ხელთ არ ჩაუგდოთ ჩარჩებსა. სომხურ ჟურ-  
ნალ-გაზეთობაში არა ერთხელ ამომიკითხავს,  
ქართველებს კოოპერაციის ნიჭი აქვსო. მეც  
მჯერა. მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ ნიჭმა სა-  
სურველად ჯერ ვერ აგძნობინა თავისი ძალა

\*) იხ. „განთიადი“, № 14.

ჩარჩებსა, როცა ფული არ არის, ჩარჩების ასა-  
ლაგმად კოოპერატივი საუკეთესო ღონის-ძიე-  
ბაა! დღეს რა არ აკლია ჩვენ სოფელსა, საერ-  
თოდ. თუ ბუნებას არ უჩუქებია მადნეული  
წყლის აბანო, უბანოოდ ვჰსხედვართ გულ-  
ხელ დაკრფილნი, თითქოს სულიწმინდები  
ვიყვნეთ და თავის გასუფთავება არ გვესაჭი-  
როებოდეს. ხარაზი, ღურგალი და სხვა ამგვა-  
რი ხელოსანი, რომელიც აუცილებელია ყო-  
ველი სოფლისთვის, სადმე დიდ სოფელში თუ  
მოიპოება, თორემ ჩვეულებრივ სოფლი კაცი ქა-  
ლაქში ჩამოჭრბის, რომ ჩუსტი უყიდოს ბავ-  
შვებსა. საცოდავი სანახავია გლეხი, რომელ-  
საც ქალაქითგან უბრალო ფიცრით შეკრული  
კუბო მიაქვს, სოფელში კი შეკუბოვე ვერ  
უშოვნია. განა ამისთანა საჭიროების დაკმაყო-  
ფილებას უთუოდ ერობა უნდა?

სულ სხვაა გზების გაყენა, ხალხის საერ-  
თო ჯამრთელობის, სწავლა-განათლების და  
სხვა რამ ამგვარი მართლა საერო საქმისთვის  
ზრუნვა! აქ ერთი, ორი სოფლის მოჭირნახუ-  
ლე მოღვაწის რჩევა არ კმარა. მრთელი დაწე-  
სებულება უნდა, რომ თემის საჭიროებას გაუ-  
ძღვეს. ეხლა უბედურება ორნაირი დაატყდა  
ქართველ გლეხ-კაცსა. ომიანობისა და წყალ-  
დილობისგან დაჰზარადა, ერობა უფრო გაუძ-  
ღვებოდა ამ საქმეს, ვიდრე კერძო საზოგადო-  
ებრივ ჯგუფთა თაოსნობაში. ჩვენი ხალხი უკა-  
პიტალოა, მის ქადილს ღონე მუდამ ვერ შეს-  
წევს, მალე შემოაკლდება, პირველი აღფრთო-  
ვანება თანდათან დაუცხრება უილაჯობის მი-  
ზეხით. სომხობის მრავალი კაპიტალისტი ჰყავს.  
აკი ნაკადულივით მოდის ასეთ პირთაგან დახ-  
მარება გამოქცეული სომხების დასახმარებლად.  
ჩვენ, აბა, რას გავჰხდებით ჯიბე ცალიერნი?

\* \* \*

ქართული მეცნიერება არ არის, რათგა  
ნაც ქართული სწავლა-განათლება არ არსებობს.  
მეცნიერები კი გვყვანან. ჩვენი მეცნიერები მო-  
ღვაწეობენ ჩრდილოეთის უნივერსიტეტებში,  
კოდნის სხვადასხვა დარგში. მაგრამ საქარ-  
თველოს ისტორიის და მწერლობის დარგის  
სპეციალისტები როგორღაც უფრო სჩანან, უფ-

რო გაცხოველებულა მუშაობა მათ შორის,  
თუმცა უფროს ერთ შემთხვევაში რუსულად  
სწერენ. ზოგიერთი მათგანი გულს არ იტებს  
და ქართულადაც იკვლევს ჩვენს ისტორიასა.  
რა საკვირველია, ჩვენ ვართ იმათკენ, რათგა-  
ნაც არ გვინდა ქართველი ერი დაემსგავსოს იმ  
ერთ სულიერს, რომელიც დიდებულ მოში-  
რეს; დავით გურამიშვილს უნახავს გორს, თუ  
ახალ-გორსა. ამის გამო, მათი წადილი ქართუ-  
ლი ლექსიკონის შედგენისა ფრიად მოსაწო-  
ნია და დიდ ამბად უნდა ჩაითვალოს ქართუ-  
ლი სიტყვის შეკრფის და განმარტების ისტო-  
რიაში. მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ ქარ-  
თული ლექსიკონისვე შედგენა გაუზრახავს ავ-  
რეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-  
მავრცელებელი საზოგადოების გამგეობასა.  
ჩრდილოეთის მეცნიერთა გამოცემული ლექ-  
სიკონი, თუ ისეთი იქმნა, მეცნიერებათა აკა-  
დემიას რომ გამოუტია ბ. ბ. ი. ჭყონიასი და  
სხვებისა, უნდა ითქვას, არ შეეფერება იმ საქ-  
მეს, რაც წერა-კითხვის გამგეობას საგნად  
დაუსახავს. იმ ლექსიკონებში ჩვენს მეცი-  
ერებს შეუკრფიათ აგრეთვე ისეთი სიტყვები,  
რომელიც ადგილობრივ იხმარება ხმათაცვლით  
ათას-ნაირად დამახინჯებული. სამწერლო ენა  
ასეთ ჩიქორთულ სიტყვებს ვერ ეგუება, განსა-  
კუთრებით მაშინ, როცა მათი ნაცვალი მო-  
ეპოება. ამის გამო, ახალთაობის, ახალგაზდა  
მწერალთათვის სახმარებლად მეტად სახიფათო  
იქმნება აღმზრდელებად უნდა იყვეს სამოქალა-  
ქო, საუკუნეებით განვითარებული და გარან-  
დულ-დახვეწილი ქართული, რომლითაც უდი-  
დებით ქართველობა მის მადლიან მწერლებსა,  
და ზეპირ სიტყვაობის სამაგალითო ფრაზეოლო-  
გია, ჯერ კიდევ გაუჩიქორთულებული. წერა-  
კითხვის საზოგადოების გამგეობის განზრახული  
ლექსიკონი უნდა იყვეს ისეთი ხასიათისა, რომ  
სამოქალაქო ენის, საერთო მწერლობის და  
საუბრის ნორმებს არ გადაუხადოს. დავით ჩუ-  
ბინაშვილის ლექსიკონი მოქცეული ფრაზეოლო-  
გია მართლად უნდა შევიდეს ახალ ლექსიკონ-  
ში, რომელიც უნდა შევიდეს აგრეთვე, რო-  
გორც ძველ, ისე ახალ საკლასიკო მწერლო-

ბაში გამოკრეფილი ახალი ფრაზეოლოგიითა-  
თუ ასეთ ლექსიკონს მაწოდებენ ჩრდილოელ-  
ნი მეცნიერნი ქართველ საზოგადოებას, მალ-  
ლობის მეტი არა გვეთქმის რა.

პეტრე მირიანიშვილი.

### კრიტიკა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი -- პოეტი.  
(27 ღვინობ. 1837-30 აგვ. 1907. წ.)

#### IV

„ნეტა, ვინაჲ კარგი საქმით  
აღნიშნავს თავის დროსა,  
ის იქავ ეწაფება,  
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

წმინდა მხატრული ნაწარმოების შექ-  
ნისთვის მგოსანი შემდეგ პირობას ასრუ-  
ლებს. თვით იმასვე ნამდვილ ცხოვრებაში  
ნახული და გამოცთილი აქვს ის რასაც  
კალმით აღწერს. მგოსანს აქვს აგრეთვე დი-  
დათ გავითარებული, გაცხოველებული ტალან-  
ტი გახსენებისა, ცოცხალი წარმოდგენისა  
(воображение), რომ ნათლად წარმოიდგი-  
ნოს და გასჭვრიტოს უწინ ნანახი, ან გა-  
მოცთილი ჩაბეჭდილება. ამასთანვე აქვს მას  
მიმადლებული ნიჭი, რომ ეს ჩაბეჭდილება-  
ნი პოეტურათ აღწეროს ქაღალდზე, ერთი  
სიტყვით, ნიჭი ხელოვნურათ წერისა, ნიჭი,  
რომელიც გადაეცემა ხოლმე ადამიანს ჩამო-  
მავლობით, მემკვიდრობით და არის იგი ნა-  
ყოფი რამდენიმე თავობის მუშაობისა.

უბრალო მომაკვდავ ადამიანს არა დროს  
არ შეუძლია ისე ცხოვლათ, მკვეთრად და მდი-  
დრათ წარმოიდგინოს, განიცადოს და აღ-  
წეროს წარსული ჩაბეჭდილებანი, როგორც  
ნამდვილ, კემპარიტ მგოსანს. თუმცა ეს  
ასეა გადაწყვეტილი, მარა ჩვენ, უბრალო  
მომაკვდავებს იმდონი წარმოდგენა-კი გვაქვს,  
რომ შეგვიძლია და გვეხერხება შევიტყოთ,

ცხოვლათ და ნამდვილათ წარმოგვიდგენს,  
თუარა მგოსანი იმას, რაც თვით ჩვენ  
ცხოვრებაში გამოგვიცლია. ჩვენ შეგვიძლია  
შევიტყოთ ისიც, აქვს მგოსანს, თუარა პსიქო-  
ლოგოგიური შეცდომანი, ეწინააღმდეგება,  
თუარა იგი ჩვენს საკუთარს გამოცთილე-  
ბას. ჩვენ შეგვიძლია დაწვრილებითაც ვუჩვენ-  
ოთ და აღვნიშნოთ ყოველი ღირსება და  
ნაკლულოვანება მგოსნის ნაწარმოებისა. თუმ-  
ცა თვით ჩვენ, საკუთრად, ვერ შევიძლებ-  
დით აგვესრულებინა ხელოვნურათ, ნამდვილ  
პოეტურათ ვერც ერთი მხატრული სურათი.  
ჩვენ შეგვიძლია მოვიწონოთ და შევაქოთ, ან  
დავიწუნოთ და დავკმოთ ის, რასაც შევ-  
ხედებით თვით ნაწარმოებში. შეგვიძლია შე-  
ვადაროთ ერთი ნაწარმოები მეორე ნაწარ-  
მოებს, წარმოვიდგინოთ და წარმოვადგინოთ  
საუკეთესო პოეტური მაგალითები სხვა და  
სხვა თხზულებათაგან სოფლიო ლიტერა-  
ტურიდან. მარა თვით ჩვენ-კი ვერ დავხატავთ  
უაღრესი, დიდი პოეტობის, ხელოვნობის  
მაგალითებს: ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ ხე-  
ლოვნური იდეალი მხოლოთ, საზოგადოთ.  
ან ვუჩვენოთ საზოგადო მიმართულება ხე-  
ლოვნური ლიტერატურისა, ერთი სიტყვით,  
დავხატოთ მისი ფაქტობა.

უკვდავი ილია ჭავჭავაძე ბევრათ უფრო  
მალა დგას, როგორც ბელეტრისტი, ვადრე  
ღირაქოსი-მგოსანა. მისი გათქმული ბელეტრის-  
ტული თხზულებანი: „მგზავრის წერილები“,  
„კაცია ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“,  
„გლახთა გათავისუფლების პირველ დროების  
სცენები“, „საღრჩობელაზე“, „ოთარაანთ  
ქვრივი“ დიდათ ძვირფასი და მდიდა-  
რი, დაუვიწყარი განძია მთელი ქართული  
ლიტერატურისთვის... ამ ფრიად საყურათ-  
ლებო თხზულებებში და, განსაკუთრებით-კი,  
„ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძის სა-  
ლიტერატურო ენა მეტათ შესანიშნავია,  
მრავალფეროვანი და ძლიერი, უფრო თავი-  
სუფალიც და მდიდარი, უფრო ცხოვლათ,  
პოეტურათ გამომატეველი გმობისა და გუ-  
ლის თქმათა, აზრიც უფრო ძალიან თავი-

სუფლათ მიმდინარობს, გძნობაც უფრო ძლიერ ღრმით ცხოველი, მეტათ ხალისიანი და მქექფარ — აღმამფრთოვანებელია. ამას უნდა დავეუბატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ „კაკო ყაჩაღის ცხოვრებაში“, „კაკია აღამიანში“ და „გლახის ნამბობში“ თითქმის პირველათ ძლიერათ მოხვდა ქართველი კაცის დამონებულ გულსა და ყურს სრულიათ ახალი და მალალი ხმა საზოგადო გამოფიზლებისა, რომელიც მოუწოდებდა მას დიდი სიმართლისა და ქეშმარიტებისკენ. საზოგადო აზრის უშიშრათ წინ წაწევა, ყმების გათავისუფლებისთვის ბძოლა, საზოგადო ლტოლვილების და მისწრაფებათა დაყენება ახალსა და მართალს გზაზე, ძველი, ბატონ-ყმური, ყოვლათ უგვანო ზნე-ჩვეულების შეცვლა, უძრავი, ერთ წერტილზე გაყინული ცხოვრების მღელვარე მოძრაობაში მოყვანა — აი იდეალი, დიადი და მეტათ მალალი იდეალი, რომელიც გამოიხატება ილია ქავჭავაძის ხსენებულ თხზულებებში. რა თქმა უნდა, პუბლიცისტური მნიშვნელობა ამ თხზულებათა ბევრათ უფრო მეტია, ვიდრე ხელოვნური, როგორც ეს კიდევ აღვნიშნე მე ერთს დროს ქართულს ლიტერატურაში (იხ. „კვალი“ 1894 წ.). მარა მიიწვ ეს გარემოება, თუმცა დიდათ დიდი გარემოება ჩემს თვალში, არ ამკირებს, არამედ ამაღლებს ილია ქავჭავაძეს და აყენებს მას თითქმის პირველ ადგილზე ახალს ქართულს ლიტერატურაში.

ილია ქავჭავაძემ ლექსების წერაში ვერ გამოიჩინა თვისი ინდივიდუალური ძალა და ორიგინალობა ნიჭისა. ილიას ლირიკა ნამდვილი გულწრფელობის ნაყოფია, რასაკვირველია. მარა ქეშმარიტი, დიდი მგონის გულის თქმით და ტემპერამენტით არ იყო დასაჩუქრებული ჩვენი ილია და, აი, სწორეთ ეს არის იმისი კარგი, სიმპატიური ლექსების დიდი ბუნებრივი ნაკლულოვანება. ილიას თავის ლექსებში დიდი საყურათღებო აზრები აქვს გალექსილი. მარა ეს არის გამოთქმა ფილოსოფიური, უკეთა ვთქვათ, საზოგადობრივი აზრებისა არა პოეტური, წარ-

მტაცი ენით, არა მღელვარე გძნობით და აღმამფრენით...

იმდენი ნაწერი, რამდენიც აქვს ილიას ლექსათ დაწერილი, სრულიათ საკმაო მასალას წარმოადგენს, რომ შეექნა მას და შემემუშავებია ხასიათები, გამოეხატა ფსიქოლოგიურათ, ავალსაჩინოთ გულის თქმანი და სულის მისწრაფებანი, წარმოედგინა ჩვენთვის ძლიერი სურათები დრამატიზმისა, ფსიქოლოგიური ანალიზი რაიმე საყურათღებო მოვლინებისა და, ბოლოს, სიყვარულის დახატვაშიაც უნდა გამოეჩინა ნიჭი. არსად ილია ქავჭავაძეს არ გამოუჩენია ამ შემთხვევაში მხატვრობის, ხელოვნების ქეშმარიტი ხერხების დიდი ცოდნა და იმისი ლექსები წარმოადგენენ უფრო წინადადე შეთხზულ აზრების და მისწრაფებათა პრაპაგანდას... ილია თითქოს თვითვე ატყობდა თვისი ლექსების ამ დიდ ნაკლულოვანებას და ძალიან ცდილობდა ლექსების შესწორებას, გაშალაშინებას. მარა თვისი დიდათ საყვარელი იდეები და იდეალები მიიწვ ლამაზ, მიმზიდველ, შევნიერ და მომხიბვლელ ლიტერატურულ ფორმებში ვერ გაახვია...

ამიტომაც არის, რომ ენაც ილია ქავჭავაძის ლექსებისა არის დროის შეუფერებლათ მიმე, თითქმის წვალება ქართული, არათუ საერო, სასაუბრო ენისა (ამ ენით თითქმის, გარდა სატრფიალო ორიოდ ლექსისა, არც-კი უწერია ილიას ლექსები), არამედ მწიგნობრულის ენისა და, ამიტომაც, იმისი ენა პოეტურ სიცოცხლეს მოკლებულია, არა პოეტურია და, მაშასადამე, შეუწყნარებელიც ჩვენს ახალს ლირიკაში, აკაკის ლირიკის და მისი შკოლის დროს... სანამ ილიას ერთ ლექსს წაიკითხავდეთ, ორ ლექსს წაიკითხავთ გრიგოლ ორბელიანისას, ნ. ბარათაშვილისას და აკაკისას ნამეტურ. ლექსების წერა ილიას არ ეადვილებოდა. ცხადია, ბევრი შრომაც მოუნდებოდა ლექსების შეთხზვისთვის...

ლექსების წერა ნამდვილი და ქეშმარიტი მგონისთვის ერთ უძლიერეს და უსიამეს მოთხოვნა ილემას შეადგენს. ქეშმარიტი მგო-

სნისთვის ლექსი ის ფორმაა, რომელშიაც უნდა ნათლათ და ცხოვლათ გამოცხადდეს ყოველი მისი ღრმით ნაცადი გძნობა და აზრი, გულიდან თივისთავათ, ძალ დაუტანებლათ ამომსკდარი. ლექსი ერთად ერთი საშვალეებაა, რო გათავისუფლდეს იგი გულზე მოწოლილ სევდებისა და კაენისგან, რო გულს რამენაირათ მოეშვას და დატკებს არსებით. ამიტომაც, ლექსთა თხზვა ქეშმარიტი მგოსნისთვის არის ერთი უდიდესი სიამოვნება და არის ამასთანვე იმისთვის მეტათ ადვილი საქმეც. ქეშმარიტი მგოსნისთვის, რომელიც წერს მხოლოთ და მარტო მაშინ, როცა მას გძობანი ყელში მოაწევიბიან, თითქმის შეუძლებელია ფსიქოლოგიური შეცდომა. სულ ყოველივე, რასაც იგი წერს, არის გახსენება იმისი, რაც იყო ნამდვილათ ცხოვრებაში. გარდა ამისა, იგი, იგიწყებს—რა არა-არსებით მოვლინებებს, იხსენებს მხოლოთ არსებითს; ადამიანს, რა თქმა უნდა, უკეთ გაახსენდება ის, რაც უფრო უგძენია...

როცა ადამიანი თვისი ბუნების მოთხოვნილების თანახმათ არაწერს ლექსებს, მაშინ იგი მთელ თვის ენერჯიას ახმარებს მხოლოთ ლექსების „კეთებას“. და იმას აღარ რჩება, არც ღრო, არც ენერჯია, რო ნათლათ, ცხოვლათ წარმოიდგინოს, გაიხსენოს გძნობანი. ამ გვართ „ნაკეთებ“ ლექსებში ცხოველი გძნობა არა ჩანს. არა მგოსნისთვის ძალიან ძნელი გასარჩევია არსებითი მოვლინება არა-არსებითიდან, რადგან ეს გარჩევა ინსტინქტურათ, თავისთავათ ხდება ხოლმე ქეშმარიტ მგოსანთა შემოქმედობაში. ამიტომაც, არა მგოსანთა ლექსებში ძალიან ხშირათ შეხედებით ფსიქოლოგიურ შეცდომებსაც...

არის ერთი კაი საშვალეება, რომ არა მგოსანმაც თავიდან აიცილოს ზოგიერთი ფსიქოლოგიური შეცდომა: ეს საშვალეებაა შეცნურება. მარა, სამწუხაროთ, არა-მგოსანნი, რომელთაც თვისი თავი ნამდვილი და ქეშმარიტი პოეტები ვონიათ, არ კადრულობენ მეცნიერულ მეთოდს, მხოლოთ ინსტინქტს,

გძნობას ემორჩილებიან და არ იციან, რო ეს ინსტინქტი ხშირათ, ძალიან ხშირათაც ატყუებს იმათ.

მარა, რაც უნდა ათას მეცნიერებას მიმართოს ადამიანმა, თუ ნიქა ბუნებას არ მოუმაღლებია იმისთვის, მგოსანი ვერ გახდება ვერას ღროს: მეცნიერებას არ ძალ-უძს გვაგძნობიოს რამე თვით იმ ერთგვარი გძნობის გარდა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მეცნიერული გძნობა, და, რომლის მხგავსი გძნობაც აღგვეძერის ხოლმე მაშინ, როცა ვპოულობთ რასმე. მეცნიერებას არ შეუძლია აგრეთვე გაგვახსენოს გარეშე მოვლინებანი დაწვრილებით ისე, როგორც იგინი მისდევენ ერთმანეთს ეამსა და სიერცეში: ამას იმდენი მეცნიერული შრომა დაქირდებოდა, რომელსაც ვერ შეძლებდა ვერაინ. თუმცა თითოული მოვლინება, გამოყოფილი პოეტურ თხზულებისგან, ადვილი გასარჩევია მეცნიერისგან.

ჩვენ შეგვიძლია შევიტყოთ, ეწინააღმდეგება—თუ არა თითოული მოვლინება პოეტურ თხზულებისა სინამდვილეს, ქეშმარიტებას. მარა შექმნა პოეტურ თხზულებისაკი არ შეგვიძლია მეცნიერების საშვალეებით. პოეტური თხზულება არის ნაყოფი ხანგრძლივი გამოცდილებისა, არის ის, რაც ნათლათ, ცხოვლათ და ცხადათაც, თავისთავათ გაახსენდება მგოსანს...

## V.

როგორც ზევითაც ვთქვით, სამოციან წლების საზოგადოებრივი ძარღვის ცემა იხატებოდა ემების გათავისუფლებასა და თვისი მამულის, უხვდილბლო საქართველოს თავდავიწყებულ სიყვარულში. ილია ჭავჭავაძის ლექსნი, უმთავრესათ, ამ ორს უდიადეს საგანს ეხებოდა მთელი თვისი შინაარსით და, ამიტომაც, იმის ლექსებს ქონდა დიდი პუბლიცისტური და ფილოსოფური მნიშვნელობა, რადგან ზნეობით და გონებით მიძინებულ ერს უღვიძებდა უკეთესი ცხოვრების იდეალებს და აქეზებდა ქართველთა საზოგადოებას სამოქმედოთ ამ კითხვების დინტერესებით.

აი, ის ლექსნი, სადაც მგოსანი მშრომელი ხალხის მდგომარეობას ხატავს წარსულსა და აწყო ცხოვრებაში: „მესმის, მესმის...“, „გუთნის დედა“, „მუშა“, პოემა „აჩრდილი“, პოემა „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „პარიზი“ და „პოეტ“.

მესმის, მესმის სანატრელი

ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!..

პატარა, ნ. ნეკრასოვის მიბაძვით. მარა გულწრფელათ გამოთქმული ლექსია კაბუკი სტუდენტისა, თუმცა პოეტური შიგ არ არის რა...

ლექსში „მუშა“, მგოსანი გულმტკივნეულათ ასწერს მუშის ყოველ დღიურ ტანჯვას, რომელიც გძელდება მის სიკვდილამდე. მოკვდება იგი „ულრმთო შრომაში“ ისე, რო „ჯალაბი მისი ვერ დასხამს მღუღარე ცრემლსა“... ილიას მეკურტნე მუშის ტანჯვის აღწერა ისე, როგორც პლემჩეევის მუშის აღწერაც მოკლებულია პოეტურ აღმაფრენას და წარმატაცი პოეტური სურათებით დანატვას და, ამხრით, ორივე დასახლებული ლექსი, თქმა არ უნდა, ბევრათ ჩამოუვარდება გრ. ორბელიანის „მუშა ბოქაულადეს“. ილიას მუშა შაინც კერძო, ინდივიდუალური შრომის წარმომადგენელია, მეკურტნე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ევრაპელ საქარხნო მუშასთან, რომელიც თვისი შრომით ეწევა ფაბრიკაში კოლექტიური წარმოების დიდს უღელს. \*)

თვისი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, ადამიანის შრომა ორს ფორმაში გამოიხატება. პირველი ფორმა—ეს თვისი პირადი, კერძო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი წარმოობაა. მეორე ფორმა— მთელი საზოგადოების, ან ამხანაგობის წარმოება თავიანთი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, ე. ი., რო დააკმაყოფილოს ყველა თვისი წევრების მოთხოვნილებანი. პირველი ფორმა წარმოობისა არას დროს არ იყო საზოგადო ფორმის წარმოება. ამას ამბობს კარლმარკსი „კაპიტალის“ პირველ ტომშივე. ამასვე კარლ კაუტსკი ამბობს პირდაპირ თავის საყურათლებო ნაშრომში: „*экономическое развитие и общественный строй*“. გვ. 86. კერძო ადამიანის წარმოობას, შრომას მხოლოდ და მარტო თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ყოველთვის და ყოველგან მეორე ხარისხიანი, უმნიშვნელო ადგილი ექარა. და ახლანდელ დროში იმაზე, თითქმის, აღარავინაც არაფერს ამბობს...“

თუმცა მეკურტნის ყოველდღიური ტანჯული შრომა, რა თქმა უნდა, ჩვენშიაც სიბრალულს იწვევს. მარა, რა გქნათ, როგორ ვუშველოთ მას ჩენი სანტიმენტალურის, აჩვილებულის გძნო ბელობით და, სად არის მეკურტნის გამოხსნის იდეალი, რომელმაც უნდა აღგვძრას, გული აკვიტოკოს და შეგწვიროთ ჩენი სიცოცხლევ ამ მეკურტნის გაბედნიერებას...

ლექსში „გუთნის დედა“ ჩენი ჰკვიანი მგოსანი სრულ ჰეშმარიტებას ამბობს, რო პირუტყვივით დამონებული ადამიანი პირუტყვზე უფრო უბედურია და გუთნის დედა თვის ლაბას გამწარებული ნაღვლიან სიტყვებს ეუბნება: „შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას, როცა სიტყვასა მართალს გულში კლავს!...“

ამ ლექსის დაწერის დროს, მოგვხსენებათ, ჩვენში ბატონ-ყმობა სუფევდა და უბედური შინა-ყმის უღელი, რა თქმა უნდა, ლაბას უღელზე „უფრო ძნელი იყო“. ამ მძიმე, აუტანელს გარემოებას კარგათ ხედავდა და გძნობდა კიდევ შინა-ყმა და, ამიტომაც,

ავტ.

\*) მაკონდება ერთი ეპიზოდი, ასე წოდებულ, გამათვისუფლებელ მოძრაობის დროიდან. ქ. ქუთაისში, შავი ქვის მრუწველოთა საბჭოს სადგომში, პრინცესა მიურატის სახლის მეორე სართულში, მაშინდელ „სო. მსიალისტებს“ შამოყავდათ, ალბათ, ჩვენ სანახავათ, ო ხუტებული მეკურტნე, ვინმე გოგია, რომელსაც სავარძელზე დააბამებდნენ და, თითქოს თავყვანს სცემნო, დიდ ხოტბას და „რეჩებს“ ეუბნებოდნენ. გოგოას ამ სანახაობით თვალები გამოებლანსა და პალეებათ ეცინებოდა და ვერ გაეგო-კი, თუ რა ხდებოდა მის წინ და მის გარშემო. მერუ, ამას უბრალო ბიჭ-ბუჭები-კი არ ჩადოდნენ! ქუთაისის მოძრაობის ბელადნი, რომელნიც პაწია სარევილოუსიო გაზეთებსაც რედაქტორობდნენ და ასე, თუ ისე, პრესის ხელმძღვანელობასაც ეწეოდნენ.

ამბობს, რო „სიმართლისთვის დაჩლონგებული აქვს მკრელი ხმალი“, ესე იგი, ვერაფერი უთქვამს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და დამუნჯებულია...

„ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დაწერილი ეპიზოდის შინაარსი ყველაჲ იცის, და მას აქ აღარ მოვეყები. აქ, ამ პოემაში, კაბუკი ილია უბრალოთ, მარტივის ენითაც გამოთქვამს თავის აზრს და, ამიტომაც, არც ხმარობს მაღალ კილოს, რიტორიკას და პოეზიის ნაპერწკლებსაც ისვრის, ვიდრე სხვა ლექსებში. ყოველი გულწრფელი, მართალი გძნობა გამოითქმის სულ ძალიან უბრალოთ. საფრანგეთის ერთი ნიჭიერი კრიტიკოსი ამბობს, რო მწერლები უნდა ბაძვდნენ ენის მხრივ უბრალო, მდაბიო ხალხს (ეს არის მიზეზი, რომ აკაკის ქართულ ლირიკაში ყველაზე უფრო მაღლა ვაყენებ მე), რადგან იგი ყოველთვის გულწრფელით, მართლად გამოხატავს ხოლმე თავის გძნობებსო. ამ გვართ, ენა, ეს უმთავრესი იარაღი ჩვენი არსებობისა, უნდა ემზავსებოდეს, უახლოვდებოდეს უბრალო აღმოცენსას და უბრალო ექსტენსო...

პოემაში „რამდენიმე სურათი“ მგოსანს ილია ქავკავაძეს კახეთის ბუნების აღწერა უბრალო ენით აქვს გამოხატული და პოეზიით სავსეა. ეს ამტიკებს იმას, რომ ილიას ძლიერ ღრმათ განცდილი და ნაგძნობიც ექნებოდა ბავშობიდანვე მისი მშობელი შვენიერი და მდიდარი კახეთის, „დადი ალაზნის ქალის“ მომზიბლელი ბუნება და ამ დიად გულწრფელ გძნობას, რასაკვირველია, არ მიუცია იმისთვის ნება, მიემართა მაღალი კილოსთვის, რიტორიკისთვის და სრულიათაც დაუმორჩილება კაბუკი მგოსნის ენა. მოვიტან აქ ამ აღწერას, რომლის მსგავსი არსად, სხვა მის ლექსებში არ არის:

„სამშობლოს ცასა ბნელათ გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა, — და მთავრის შუქზე მთებისა ჩრდილი ალაზნის ველოზე წამოიხარა. დამის გუშავი, მუდამ მკმუნავი,

მთვარე მეფურათ მძლავრათ ვიღოდა, მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი იმის სხივებთან მუსაიფობდა.

შორნი მნათობნი სოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდენ, მღუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი, სხივებს ესროდენ, ზედ დახაროდენ, და იმ მნათობთა სხვას აღერსით ველს შვენიერსა ჩაძინებოდა. მხოლოთ ნიავი, მთისა მოლხენით ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა. და ალაზანი, შეუპოვარი ჩივოდა, თითქო კაცს ემდუროდა, მის ბუღბუტს მარტო მთები მღუმარი, დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა. ყველას ეძინა, დლით ფეთქავს რაცა, თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა... მხოლოთ-კი ერთგან ურემი მძიმე მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა, და ნალვლიანათ მასზე მეურმე მწუხარს სიმღერას დალულუნებდა. ლულუნი იგი ჩამრჩენია გულს, მზუხარე არას, ვით გლოვის ზარი. მაგრა, თუ ნალველს მობერს დაჩაგრულს, უკუ ყრის კიდევ, ვით ღრუბელს ქარი...“

ამ ჩანებული სურათით თქვენ თვალწინ დაიხატება შვენიერი ბუნება ალაზნის ველისა, მყუდროთ მიძინებული, რომელსაც მთვარის შუქი აღერსიანათ დაცქერის, თითქო ტკბილ ნანას ეუბნებაო. ამ ლაზათიან სურათს შეავსებს „ურემი, რომელიც მძიმეთ მიჭრიალებდა“ და, რომელზედაც მეურმე ნალვლიანა დალულუნებდა თავის მწუხარს სიმღერას. დამეთანხმებით, რო ჩინებული სურათია!

რასაკვირველია, კაბუკი მგოსანი აქ შორს არის იდეალზე. უნდა სიმართლე ვთქვა, რო მისგან დახატული ეს სურათი არის მხოლოთ ყმაწვილური, თუშკა გულწრფელი ცდა-კი არის ხელოვნურათ კახეთის ბუნების დახატვისა. მართალია, ეს დახატული სურათიც ადამიანზე ჩაბეჭდილებას მოახდენს. მარა არა ისეთს, როგორც შეეფერება ალაზნის მართლაც გასაშტერებელს, მდიდარს ბუნებას.

საზოგადოთ, დიადი, ამაყი კავკასიის უშვენიერეს, სამოთხისებურ ბუნებას ისე, როგორც ტურფა შავ ზღვას - და მის შვენიერს ნაპირებს ჩვენში ჯერ არ გამოჩენია დიადი, ღირსეული აღმწერი, დიდათ შესანიშნავი ტალანტის მექონი მგოსანნი. \*) ამ მხრივ, ყველა ჩვენ პოეტებზე მაღლა დგანან აღექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მარა ამ ნიჭიერმა მგოსნებმა დაგვიტოვეს ცოტა, ძალიან ცოტა ნაწარმოები და იქაც გაკვრით შეეხენ კავკასიის მთებს...

იმედს არა ვკარგავ, რო ჩვენი საოცარი ბუნება აღზრდის თვის შესაფერს აღმწერს. ქართულ ლიტერატურას მოეღოს დიადი, უშვენიერესი და საკვირველი სურათები საქართველოს საკვირველი მდიდარი ბუნებისა, მოეღოს დიადი პოეტები, ძლიერი ხელოვნური ტალანტის მექონი მგოსანნი, რომელთაც ჩვენი უშვენიერესი ბუნება ჩაუდგამს სულის შემოქმედობისა და ძლიერის, მდიდარის და საოცარის ბულბულის ხმებითაც აამღერებს მათ...

„რამდენიმე სურათში“ არის კარგი, ლაზათიანი ადგილები, პოემაში ამბავიც ფრიად შინაარსიანია. ეს შინაარსიც დასრულებულია და რითმაც კარგათ არის დატული. მარა თვით ამბავი-კი ვერ არის ხელოვნურათ, დიდი პოეტური ტალანტით დახატული. დიდი საინტერესო ადგილები სრულიათ, უბრალოთ, მშრალათ არის ნაამბობი და გალექსილი... იქ, სადაც მოქმედებაა და, სადაც უნდა ღრმათ ემუშავა პოეტის გაძლიერებულს ტალანტს; ილია ჭავჭავაძეს უსუსტდება პირადი, ინდივიდუალური ხელოვნური ნიჭი. „რამდენიმე სურათში“ ცხადათ ჩანს ილიას ხელოვნური ნიჭის სისუსტე, რადგან ეს სისუსტე არ არის დაფარული აქ

მაღლის კილოთი, რიტორული ფრაზებით, რომელიც ყოველთვის აბრუნებს ჩვეულ-ბრივ მკითხველს. ამიტომ, რომ ერთად განვიხილოთ ეს კარგი, ჩინებული პოემა „რამდენიმე სურათი“, კრიტიკის შეხებასაც ვერ გაუძლებს, ხელოვნურის მხრით...

ხომლელი.

(შემდეგი იქნება)

### კრიტიკული დახასიათება.

ვახ. ხახალხო ფურცელში (№375) დაისტამბა განსვენებულის პოეტი, ვაჟა ფშაველას კრიტიკული დახასიათება, რომელიც ეკუთვნის ქართველი ახალგაზდა კრიტიკოსის, ბატ. გერონტი ქიქოძის ნიჭიერ კალამს.

წაკითხვა და გადათვალისწინება ისეთი კრიტიკული წერილებისა, სადაც დინჯათ, სხარტულათ, მკაფიოთ, გაუზვიადებლათ და მიუდგომლათაც ლამაზი სალიტერატურო ფორმებით არის შეფასებული საყვარელი და ღვაწლით მოსილი მწერალი, ყოველთვის იწვევს ჩვენში ტკბილს, სიამის მომგვრელ გძნობებს, გვაახლოვებს იმ სიმპატიურ კრიტიკოსსაც, რომელიც გულწრფელი სიყვარულით და თანაგრძნობით ეპყრობა თავის გმირს - მწერალს...

თუმცა ბატ. გერონტის ჩვენ ერთ ალაგას ერთი მეორის წინააღმდეგი აზრიც შევნიშნეთ და იქ, სადაც იგი წერს ვაჟას ნაწარმოებნი მდიდარია შეუდარებელი მხატვრული სახეებითო“, — ამას, იმედია, თვით ბატ. გერონტიც დაგვეთანხმება, დასაბუთება უნდოდა... მარა, საერთოდ, მისი სტატია უფრანდ „განთიადის“ მკითხველთაგან დიდი ინტერესით იქნება წაკითხული და, მამასადამე, სასარგებლოც.

ესტამბავთ ამ სტატიას აქ სიტყვა-სიტყვით.

ხომლელი.

### ვაჟა - ფშაველა.

ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუღ-

\*) ვაჟა-ფშაველა თელი თვისი სიძოცხლე მთას შეხაროდა, შეტრფოდა. მის აღწერას მან შეაღია სიძოცხლე... მარა მე ვერხად, მის ნაწერებში ვერ გამოომინახავს მდიდარი პოეტური, მხატვრული აღწერა ჩვენი გასაშტერებელი, დიადი მთებისა.

გეს მას. მისი გძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია ველური, მისი მორალი საშვალო საუკუნოებრივი. მას არაფერი გაეგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა. და ელექტრონისა, ორთქლმავალისა და მანქანების ხანაში ის წარსულის აჩრდილს გავდა თვისი ჩაფხუტითა და თვისი რაინდობით.

მთელი მისი ბუნება უცნაურათ თავისებური იყო. ის ღვევებსა და ალქაჯებს ხედავდა, სადაც ჩვენ გეოლოგიურ ფორმაციებს ვხედავთ და სულიერ თვისებებს ამჩნევდა იქ, სადაც ჩვენ მხოლოდ მექანიკურ ძალთა მოძრაობა გვგონია. მისი გული სავსე იყო საიდუმლოების გძნობით და მის თვალებს გძნეული ლეჩაქი ქონდა გადაფარებული. ამიტომ გვიყვარდა ჩვენ ეს მგოსანი: ჩვენ ფხიზელ, დარაზმულ და ქკუა დამჯდარ თავობაში მას შეზარხოშებული ადამიანის მღელვარება შექონდა. მისი გულწრფელობა, გულუბრყვილობა და უშუალობა გვხიბლავდა, მისი გამირული ძახილი-კი წარსულ ღღეთა მოგონებებს გვიღვიძებდა.

ღღეს, როცა ვაჟა-ფშაველა ჩვენს შორის აღარ იმყოფება, უფრო გულ-დასმით გულ-დამშვიდებით და მიუდგომლათ შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რა იყო ის ჩვენთვის და ჩვენი ლიტერატურისთვის: დავინახოთ არა მართო მისი ღირსებანი, რომელნიც, უეჭველია მაღალ-ხარისხოვანი იყვნენ, არამედ ნაკლებოვანებანიც, რომელთაც განსაკუთრებით ბოლო დროს დაჩრდილეს მისი შემოქმედობა.

ჩვენა გვსურს მწერლის შინაგანი პიროვნების გაგება და არა მისი მოთავსება რომელიმე მხამზარეულ უჯრაში: ამიტომ მეორე ხარისხოვანთ მიგვაჩნია ის საკითხი, თუ რომელ ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნოდა ვაჟა-ფშაველა: რომანტიკოსი იყო ის, რეალისტი, თუ სიმბოლოსტი? ეკვი არ არის, თვით მგოსანს გაუქირდებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

რასაკვირველია, ისიც ხმარობდა პოეტურ სიმბოლოებს. მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის სიმბოლისტი იყო, ამ სიტყვის ნამ-

ღვილი მნიშვნელობით. ამისთვის მას აზროვნობის სიღრმე აკლდა. აკლდა ფილოსოფური შემეცნება, ან უკეთა ვთქვათ, მეტაფიზიკა, ურომლისოდაც შეუძლებელია სიმბოლისტური ნაწარმოების შექმნა. ის არ ფიქრობდა, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ მოვლინება და ნიშანია თვალ-შუადგამი და მიუწდომელი ღრსებისა, ის არ ცდილობდა მხატვრულ სახეებს იქით ზოგადი იდეები დაენახა.

მარა ვაჟა ფშაველა არც რეალისტი იყო, უეჭველია. ამისთვის მას ზომა, სიფხიზლე და დაკვირვების ნიჭი აკლდა. აკლდა მოთმინებაც, რომელიც რეალისტის აუცილებელ თვისებას შეადგენს. მას არ შეეძლო დაწერილებით რაიმე მოვლენების აღწერა, ან ყოველ-მხრივ რაიმე საგნის დახატვა: მიტო, რა მას ცხოველი და თავშეუკავებელი ფანტაზია ტანჯავდა.

აქიდან, რასაკვირველია, იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ ის ვარკვეული რომანტიკოსი იყო, როგორც ეს ევროპაში ესმით. ის არ გავდა არავის ამ ქვეყანაზე. ის არავითარ სკოლას არ ეკუთვნოდა. თვით ჩვენ მწერლებთან მას არაფერი აკავშირებდა, გარდა მოკრძალებისა, ან წინააღმდეგობისა. ის ლიტერატურული ტრადიციების გარეშე იღვა: გაუტყვევნილი გზით დადიოდა და უცნაურ მხატვრულ ენას ხმარობდა, ჯერ რომ არავის უხმარია ქართულ ლიტერატურაში.

მარა, თუ რომანტიზმი უფრო სულიერი განწყობილებაა, ვიდრე ფილოსოფური, ან ლიტერატურული სისტემა, თუ ის, როგორც მაღამ სტალიმა თქვა, მართლაც „რაინდული ზნე-ჩვეულების წაბაძვაში“ მდგომარეობს, ან მეობის შეუღრეკელს გაშლაში, მაშინ ვაჟა-ფშაველა ნამდვილი რომანტიკოსი იყო. ის რომანტიკოსი იყო არა რწმენით და ტენდეციით, არამედ გძნობით და ინტუიციით; რომანტიკოსი იყო მიტო, რა მთელი თვისი არსებით იმ მივარდნილ და შეუბოვარ მთებს ეკუთვნოდა, რომელიც კიდევ ჯვარონობის დროის იდეებით ცხოვრობს კაპიტალისტურ ხანაში.

იმ მთების მწვერვალებიდან მას გადაგვარებათ ეჩვენებოდა ის, რაც ჩვენ საზოგადო-

რივ გავითარებათ მიგვაჩნია. ჩვენს დღეინდელ სინამდვილეს ოდნავათაც ვერ ეგუებოდა. არა მარტო მიტო, რომ არ შეეძლო ცილინდრისა, თუ ყელსახვევის ხმარება, არამედ იმიტომაც, რომ შეუსაბამოთ და სავალალოთ მიაჩნა ჩვენი ფსიქოლოგია და სოფლიო-მხედველობა. ის ოპოზიციაში უდგა „მოდერნობას“. მარა მისი ოპოზიცია უფრო ინსტიტუტური, შეუღებელი იყო, ვიდრე შეგნებული და ნათლად გამოაშკარებებული.

უკანასკნელი საუკუნის შინაარსი საქართველოში არსებითად სოციალისტური გამარჯვებას წარმოადგენდა რაინდობაზე. ამ გამარჯვებამ ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენს ეროვნულ ეკონომიასაც, ჩვენს სამოქალაქო ურთიერთობასაც, ჩვენს მორალსაც. მარა ცხოვრების ახალი სტილი ჯერ კიდევ მაინც ვერ შემუშავდა. ტრადიციული და მოდერნული ელემენტები უცნაურათ აირია ურთიერთ შორის და სრულიათ დაარღვია პრიმიტიული და ძალოვანი არსებობის მთლიანობა. ვაჟა-ფშაველა-კი არაფერს არ აფასებდა, ისე ძვირათ, როგორც პიროვნების მთლიანობას და ხასიათის სიმტკიცეს. ამიტომ ის ვერ ისვენებდა ჩვენ ქალაქებში: აქ მისი თვალების წინ ნერვული და სისხლნაკლები თავობა ფუსფუსებდა. მისი სული-კი დევებს უხმობდა, ან კიდევ გმირებს, რომელნიც მიწას აძანძარებენ დევებთან ბძოლის დროს.

იშვიათია მეორე ქართველი მგოსანი, რომელსაც ასეთი ინტენსიური შინაგანი ხილვა ქონდეს. ის თითქო ხელგებით ეხებოდა იმ ზღაპრულ მოჩვენებებს, რომელთაც თავის პოემებში ხატავდა. საკმაო გავისხნოთ ორიოდე პლასტიური სურათი „ეთერიდან“. ცხრა მთას იქით ცხოვრობს კუდიანი ბებერი, რომელმაც შერეს წამალი უნდა შეუმზადოს ეთერს მოსაჯადოებლათ.

თვალეები ცეცხლისა უსხდა,  
კბილეები ქონდა შინისა,  
ცალიერ ძვლებზე ზედ ეკრა  
ტყავად ფურცელი რკინისა;  
ფეხები ქონდა კაცისა,  
ხელად—მჯოლები ციცისა,

და თმის მაგივრათ სულ ძაღლსა,  
მოკლე ფაფარი კვიცისა...

შერე უკან ბრუნდება. უღრანს უფსკრულში დევების ღზინს ხედავს:

ცეცხლი დაენტოთ ძლიერი,  
გარს უსხდენ ყოტებივითა,  
თავ-ცხვირი წამოეშვირათ,  
სალის კლდის ლოდებივითა;  
დაღრენილი აქვთ ლაშები,  
სალუდეს ქობებივითა.

წითელს იქნევდენ ენებსა,  
გრძელდება შოთებივითა...  
სისხლი ნაწური კაცების,  
ქურქელში ედგათ ღვინოთა,  
მეჯლისში სისხლით თვრებოდენ,  
სისხლს სვამდენ მოსალხინოდა...

ფანტაზიის სიძლიერე და ნათლმხედველობა ვაჟა-ფშაველას ნიჭის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. მისთვის არ არსებობდა არავითარი საზღვარი ლეგენდასა და სინამდვილესა, მითსა და ისტორიასა, სიზმარსა და სიფხიზლეს შორის. ზღაპარი და სიზმარი მას ისევე შეურყევლათ წამდა, როგორც ჰოფმანს, ან ედგარ პოეს. ამ მგოსნებივით ხშირათ იწვევდა ჟრუანტელის მომგვრელ სურათებს და უზრუნველათ, ბუნებრივ მოვლენათა ქსელში ახვევდა. ალუდა ქეთელაურმა ქისტი მუცალი მოკლა. კაცის კვლა ისეთი არაფერია, რომ ნერვები აუშალოს ფოლადის ადამიანებს. მარა ალუდა სხვა ხეცსურებზე უფრო გმნობიარე პიროვნებაა. მას ტანჯავს ის გარემოება, რომ წუთისოფელს გამოასალმა ისეთი არაჩვეულებრივი გმირი. და, აი, ის საშინელს სიზმარს ხედავს;

„დავჯე, ჯამ ვინამ დამიღდა,  
კაცის ხორც იყო წვნანი,  
ვსკამდი, მზარავდა თუმცა-ღა  
კაცის ხელ ფეხი ძვლიანი.  
რასა სჩადიო, ვსჯავრობდი,  
უმსგავსი, შეჩვენებულო...  
მიმატეს კაცის უღვაშით  
წვენ ხორცი შანელებული...  
სიზმარათ დამტანჯეს, იმით ვარ  
გუნება აღელვებული...  
ვაჟა-ფშაველას გონების უნივერსალობა

აკლდა. ამ ნაკლის ანაზღაურება კი არ შეიძლება ფანტაზიითა და ნათელ მხედველობით. თითქო მისი სული დახურული იყო და ვიწრო სარკმელით უერთდებოდა საზეაროს. დიდი თანამედროე პრობლემები აგრე რიგათ არ აინტერესებდა, თანამედროე ადამიანის რთული ფსიქოლოგია ეუცხოებდა. მისი ემოციური ცხოვრება ღარიბი და მოუხეშავი იყო. თავის „გველის მჭამელივით“ უფრო სადა სულიერი მოძრაობა ესმოდა. ადვილათ შედიოდა გამხმარ წიფლის, შელის ნუკრის, დაკოდილი არწივის, ან ხარ-ირემის მდგომარეობაში, ადამიანებში-ის მეტის სიმპატიით იმათ ეპყრობოდა, ვინც უფრო მძაფრათ გძნობდა და მარტივათ აზროვნობდა.

მისი ნაწარმოებნი მდიდარია შეუღარებელი მხატვრული სახეებით. მარა ისინი თითქმის გამოუკლებლივით ბძოლას შეეხებიან, ან კიდევ რაინდულ თავგანწირვას. ასეთია გოგოთურის და აფშინას შეხვედრა და სასიკვდილო შეტაკება („გოგოთურ და აფშინა“), მუცალის მოკვლა („ალუდა ქეთელაური“), წმ. გიორგის დანახვა ფშავ-ხევსურების ლაშქრის მიერ, გველის დამგვობრება დაქრილ გმირ ლუბუმთან („ბახტრიონი“), ხვიადურის შეწირვა ქისტების სასაფლაოვზე და მისი ჯოყალასთან შეხვედრა სიკვდილის შემდეგ („სტუმარ-მასპინძელი“).

ყველა ეს გმირები რაინდები არიან თავიდან-ფეხებამდე. ყველანი სტოიკურათ ცოცხლობენ და სტოიკურათ იხოცებიან. მარა სულიერათაც და ხორციელათაც ისე გვანან ერთმანეთს, თითქო ერთი დედამისი შვილები იყვენ. და მართლაც, ერთი და იმავე დედამისი შვილები არიან. ფშავ-ხევსურეთის ბუნება, რომლის წილშიც ისინი იზდებიან და ცხოვრობენ, იმავე ელემენტარული დრამატიზმითაა გამსჭვალული.

არც ერთს ქართველს მგოსანს არ შეუთანაბრებია პეიზაჟი და პერსონაჟი ისე არმონიულათ, როგორც ეს ვაჟა-ფშაველამ ქმნა. არც ერთ ქართველს მგოსანს უგრძენია, ისე ძლიერ მთების სიდიადე, როგორც ეს ვაჟა-ფშაველამ იგძნო. არტურ ლეისტმა თქვა,

რომ ევროპულ ლიტერატურაში დღეს არ მოიპოვება ასეთი მთის მგოსანიო. ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ არც ერთს ევროპელ ერს არა აქვს ჩვენისთანა მთები. მარა, ყოველს შემთვევაში, უცილობელია, რო ჩვენში ვაჟა-ფშაველამდი არ არსებობდა მთის პოეზია და ამ მგოსანმა ახალი ასპარეზი დაუპყრო ესტეთიურ შემოკმედობას.

საქართველოს ბუნებას სხვა მგოსნებიც ხედავდნენ, რასაკვირველია. აღწერდნენ კიდევ შეძლებისამებრ. მარა ვაჟა-ფშაველას მათ წინაშე ის უპირატესობა ქონდა, რომ უშუალოთ განიცდიდა. ის ცოცხალ ჩაბეჭდილებებს იძლეოდა — მკრთალ მოგონებებს. ჩვენი ცა რო ფირუზს შეადარო, ან ხმელეთი ზურმუხტს, ამისთვის არც დიდი მხატვრული ძალაა საჭირო, არც დიდი გონება მახვილობა. (განსაკუთრებით აკაკი წერეთლის შემდეგ). ამისთვის საკმაოა დანიახსოვნო ის, რაც ათასჯერ წაგიკითხავს, ან გავიგონია შენს გარშემო. ასეთი შედარება ერთნაირი კლიშეა და არა ორიგინალური ოფორტიან ფერადების ესკიზი. ისეთი სურათების შესაქნელათ-კი, როგორსაც მაგ. ვაჟა-ფშაველას „დაუსრულებელი კვნესა“ იძლევა ბევრათ მეტია საჭირო, ვიდრე უბრალო მახსოვრობა. საჭიროა, რო შენი სული ღია იყოს ბუნების მისტერიის მისაღებათ. საჭიროა, რო შენ გაკვირვებული ადამიანი იყო და გძნობდე, რაც მოულოდნელი და უჩვეულოა შენს გარშემო. საჭიროა, რო შენ იღუმალ სიმპატიას გძნობდე გარეშე ბუნებისადმი და სულიერი შინაარსით ავსებდე ყოველ მის მოძრაობას. ეს თვისებები უხვათ მოკპოვებოდა ვაჟა ფშაველას. ამიტომ ბუნების გადმოცემაში ის შეუღარებლათ მალა იდგა ყველა ქართველ მგოსნებზე, რომელნიც ჩვენ მთებსა და მდელოებს უმღეროდნენ.

არც ერთი ქართველი მგოსანი არ მდგარა მთის ხალხის შემოკმედობასთან ასე ახლო, არც ერთი არ შეუღარებია მის სულს ასე მჭიდროთ. ამ გარემოებამ წაუშლელი დალი დაასვა ვაჟა-ფშაველას პოეზიას. მთის ხალხის, პროვინციალურმა ენამ საესებით დაიმორჩილა მგოსანი, მან შეითვისა ძარღვიანი ენა, დედამიწის სურნელებით გამსჭვალული. მისი ლექსიკონი გამდიდრა კონკრეტული სიტყვებით და ძლოვანი გამოთქმებით. მარა, სამაგიეროთ, მან ნელ-ნელა კომპოზიციის და რითმის გძნობა და-

კარგა. ლექსის ვირტოუზი არასოდეს არ ყოფილა. შალაშინი ყოველთვის აკლდა. არასოდეს არ გვიანებია ზოგიერთ თანამედროვე მგოსანს, პირწმინდათ გაპარსულს, თმა დახუკუკუბულს, ჰარფიუმერიით გამსკვალულს. მარა უკანასკნელ დროს უკიდურესობამდე მიიყვანა ტენსიკური ხალვათობა.

ბოლოს ძალიან ცუდი ლექსების წერა დაიწყო. ვერ ასცდა ჩვენი მწერლების ბედს, რომელნიც შედეგებს ოცდა ხუთი წლამდე ქმნიან და შემდეგ ნელ-ნელა ეშვებიან უნაყოფოობის და უძლეურობის სფეროში. მისი „ცრემლები“ ყოველმხრივ დაბლა იდგა მის პირველ კრებულზე. ნათლათ ჩნდა, რომ მგოსანმა ამოსწურა ჩაგონების წყარო, იდეათა ვიწრო ფარგალი-კი ველარ გაათართოვა. პოეზია დახურდა და იათფასიან პუბლიცისტიკაში გადავიდა. მარა, კიდევ უფრო საყურათღებოის იყო, რომ მას დაუჩლიუნგდა ფორმალურ ღირებულებათა შეგნება. მას დაავიწყდა, რომ ყოველი სიტყვა წარმოადგენს არა მარტო იდეოგრაფიულს, ან გამომხატველს, არამედ ფონეტიურს ღირებულეებასაც.

მისი ზოგიერთი უკანასკნელი ლექსი ბევრით არაფრით განირჩეოდა მდარე ხარისხოვან პროზაში. რითმა ძლიერ ღარიბი იყო, ცეზურა ხშირათ ირღვეოდა, წინადადება შვაზე იჩეხებოდა ბარბაროსული წერტილების წყალობათ. უიმედო შაბლონი და ტრივიალიზა ნელ ნელა აბნელებდა მგოსნის სულს.

გერონტი ქიქოძე.

## სადღეისოდ. სახალხო ბანკი.

დღეს, როცა კოოპერატიული დაწესებულებით ჩვენი ქვეყანაც იფინება და, როდესაც ამ მხრით, სასიამოვნო ცნობა ყოველ დღე გვხვდება გაზეთებში, ურიგო არ იქმნება, მგონია, თვალი გადავაფლოთ რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობას და ვავეცნოთ ამ მოძრაობის მაჯის ცემის გამონახატველს კოოპერაციას, ასე წოდებულ, სახალხო ბანკს.

რუსეთში, 1905 წლის შემდეგ, ხალხის შემოქმედობითი მუშაობა ერთობ გაძლიერდა, გაღრმავდა და ეს გამოიწვია იმ აუტანელმა გაკვირებამ, რომელშიც იმყოფებოდა ხალხი გამათავისუფლებელ მოძრაობის წინა ხანებში. მართალია, 1905 წლის პირდაპირი შედეგი

დიდი არაფერია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კულ მოკვეცილ რუსეთის დუმას. მარა მისი მორალური მნიშვნელობა ხალხის ფსიხიკაზე მეტათ უზომოა. ხალხი, ფართო მასა ამ წელს რუსეთში პირველათ ეზიარა საჯაროთ პალიტიკურ აზრს და პირველათ დაიწყო შემოქმედობითი ეკანომიური მუშაობა. უკიდურესი გაკვირება, საზოგადოთ, წინამორბედია განახლების ხანისა და ეს ასე მოხდა რუსეთშიაც. რაც უნდა უარყოფით ვუყურებდეთ დღეინდელ დროს და, რაც უნდა ბევრი ნაკლი იყოს მასში, ის მაინც წინაა წასული შედარებით ათასცხრის ხუთის წლის წინა ხანებთან.

მე, ამჟამათ, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნე, მაინტერესებს რუსეთის ეკანომიური მოძრაობის ერთი მხარე — კოოპერაცია. კოოპერაციის გავითარებას რუსეთში, თუმცა მრავალი დაბრკოლება ხვდებოდა, მარა ის მაინც ვერაფერმა ვერ შეაჩერა და დიდ ეკანომიურ ძალათ გადაიქცა. „ჩინოვნიკთა“ თვითნებობა კოოპერაციის საქმეში დიდხანს მეფობდა და ერთხანს მთავრობის წრეშიც კოოპერაციას ისე უყურებდენ, როგორც „კრამოლნიკთა“ ბუდეს. მახსოვს, ამ რამდენიმე წლების წინათ, სახალხო განათლების მინისტრმა სოფლის მასწავლებელთ კოოპერატიულ დაწესებულებებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა კიდევ. ხალხის გაკვირებამ მაინც თვისი გაიტანა, კოოპერაცია გავითარების გზაზე შეაყენა და, როდესაც ის გადაიქცა დიდ ეკანომიურ ძალათ, მაშინ მთავრობის წრეებმაც მასზე შეხედულება იცვალეს?

დღეს კოოპერაციის მთავრობის წრეები მეტის მოწყალების თვალით უყურებენ, თუმცა მთავრობას, კოოპერაციის გასავითარებელი ზომები, როგორც ეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოხდა, არ მიუღია. რუსეთში ჯერ კიდევ არ არსებობს კოოპერატიული კანონი, საკოოპერაციო კანონმდებლობა და უბრალო ნებართვის აღება ისეა გაძნელებული, რომ, თუ არა ეს სიძნელე, დღეს კოოპერაცია ერთი ათად მეტათ გავითარებული იქნებოდა. ნებართვის მიღება ამა, თუ იმ მოხელეზეა

დამოკიდებული და ხშირათ ნებართვის მიღებას ორი და სამი წელიწადი აგვიანდება ბიუროკრატიული რუტინის წყალობით...

ასე იყო, თუ ისე დაბრკოლება დაიძლია. გავითარდა კოოპერაცია, მთავრობისა და საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო და ამიერიდან მის გავითარებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს, ვერ შეაჩერებს, ვინაიდან მის მოძრაობაში ახალი ხანა დაიწყო. ამ ახალი ხანის დაწყება, ერთი მხრით, მთავრობის კურსის ოდნავი შეცვლამ გამოიწვია და, მეორე მხრით, ამ უშავალითა ომისგან გამოწვეულმა ცხოვრების პირობებმა. კოოპერატიული იდეა დღეს იმდენათ გავრცელდა, რო მისი ასე გავრცელებას ჩვეულებრივ დროს ათი და ოცი წლები მოუწოდებოდა. მთავრობა დიდი ხანია მუარველობდა საკრედიტო კოოპერატივებს და ახლა მომხმარებელი საზოგადოებებიც თავის მუარველობის ქვეშ მიიღო. თვით სამინისტრო იმუშავებს მომხმარებელ საზოგადოებათა სამინუშო წესდებას და აგრეთვე ღებულობს ზომებს მომხმარებელ საზოგადოებათა ბიუროების გასავრცელებლათ.

ცხოვრება გართულდა, ვალრმავდა და ცალკე დამოუკიდებელი მოღვაწეობა ამა, თუ იმ ორგანიზაციისა, თუ პიროვნებისა შეუძლებელი შეიქნა. დღეინდელი დრო, გაერთიანების ხანაა და გაერთიანება ხდება, არა მარტო პოლიტიკურისა და კულტურული ორგანიზაციების, არამედ ეკანომიურ დაწესებულებებისა. ეს გაერთიანების ხანა, ომის გამოცხადების შემდეგ, უფრო ჩქარი ტემპით სწარმოებს. ის, რაც წინათ ნატვრის საგანი იყო, დღეს ამ საზღვრს გაცილებული სინამდვილეთ იქცა. უკვე არსებობს და მოღვაწეობს გაერთიანებულ ქალაქთა კავშირო, გაერთიანებულ ერობათა კავშირი და ამ ცრტა ხნის წინათ ამ კავშირებს შეემატა კიდევ ერთი მეტათ სასარგებლო და მრავალ მხრით მნიშვნელოვანი კავშირი. როგორც იყო, ამ უკანასკნელი ათი წლის წუწუნს ბოლო მოვლო, წადილი და ცალიერი სურვილი საქმეთ იქცა და დაამტკიცეს 17 კოოპერაციების კავშირი. ახლა ვაჭრობამრე-

წველობის სამინისტრო შეუდგა ცდას ასეთი კავშირების გამრავლებისას...

ყოველ წლობით კოოპერაციების რიცხვი სამი ათასობით იზდება და ასეთი ზრდა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც 1905 წელში შეჩერებულა. ომის გამოცხადებამდი ეს მოძრაობა ნორმალურათ მიმდინარობდა. მარა ომის გამოცხადებამ, როგორც სხვა რამეში, ისე აქაც არეულობა და საქმის არევე დარევე გამოიწვია. ხალხს-შეშინებულს საკრედიტო საზოგადოებებიდან ფულეები გაქონდა და ამას ზედ დაერთო მრავალი კოოპერატორის ბძოლის ველზე გაწვევა. ყოველივე ამან, რასაკვირველია, ცუდათ იმოქმედა. მარა საქმე ისევე ნორმალურ კალაპატში ჩადვა და კოოპერატიული მოძრაობას მეტი წინმსვლელობა დაეტყო. მოვიტან ერთ კოოპერატიული საზოგადოებას ანგარიშს, როგორც საერთო კოოპერატიული მოძრაობის მაჯის ცემის გამომატველს.

რუსეთის ეკანომიურ ცხოვრებაში, — როგორც ეს ზემოთაც მოგახსენეთ, — ახალმა სილამ დაბერა და ბევრი ისეთი საქმე შექნა, რასაც ვერ ვხედავით და, რასაც ადგილი არ ქონდა ძველ რუსეთში. ამ სასარგებლო საქმეთა შორის, თვალ საჩინო ადგილი უჭირავს მოსკოვში არსებულს სახალხო ბანკს. სულ სამი წელიწადია, რაც ეს ბანკი დაარსდა. მარა, თუ მისი წინმსვლელობა აწიც ასე წავიდა, მაშინ ის მართლაც რო სახელმწიფოში სახელმწიფოთ გადიქტევა. ბანკი დაარსდა ორი მილიონი მანათის კაპიტალით. მეორე წელს ორი მილიონი ოთხ მილიონათ გადაიქცა. მარშან ეს კაპიტალი 8 მილიონამდი ავიდა და წელს მხოლოთ აპრილამდი 10 მილიონამდი გაიზარდა...

ბანკის აუქციონერთა, ან მონაწილეთა რიცხვი 2781 არის და ამაში 90 პრაცენტი კოოპერაციები, წევრთა ოთხი პრაცენტი ერობის წვრილი კრედიტის კასებია და დანარჩენი ექვსი პრაცენტი კი კოოპერაციის თანამგრძნობებია. ბანკის აქციები შექმნილი აქვთ რუსეთის გუბერნიასში და ბანკმა კოოპერაციებს გაუხსნა კრედიტი რუსეთის 76 გუბერნიასში. როგორც ხედავთ, ბანკს ვრცელი სამოღვაწეო ასპარეზი აქვს და მისი მოღვაწეობა მეტათ გავრცელებულია მთელი რუსეთის ტერიტორიასზე.

აღსანიშნავია, რომ ამ ბანკს 1914 წელს კოოპერაციებზე ქონდა გასესხებული

20 მილიონი მანათი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცულ პირობებიან წელიწადში არ ყოფილა შემთხვევა ფულის დაკარგვისა...

ბანკის კულტურული მოღვაწეობაც მეტათ დიდია და მასში ყოველი კულტურული დაწესებულება გამომხატურებას პოულობს. ბანკმა მიიღო მონაწილეობა ომში დახარალებულთა დასახმარებლათ კოოპერატულ ფონდის შექმნაში, დახარალებულ პოლონელების დასახმარებლათაც გაიღო თვისი წვლილი და აგრეთვე 8.700 მანათი გადადგა რუსეთში კოოპერატულ ინსტიტუტის დასაარსებლათ.

ერთი სიტყვით, ბანკი, კოოპერაციების მფარველი, დიდი ხელის შემწყობი და მთავარი ორგანოა. ასეთი დიდი ორგანიზაციის შემქნელს კოოპერაციებს, ექვი არაა, დიდი მომავალიც ექნება. მის გავითარებას, დარწმუნებულიც ვართ, ამიერიდან ვერაფერი ვერ შეაჩერებს და წერილმან დაბრკოლებას იოლათ გადალახავს...

ვეტებით ამ მოკლე ხანში, გავაცნოთ მკითხველებს ჩვენ ქვეყანაში არსებულ კოოპერატულ დაწესებულებათა მდგომარეობაც.

გ. ხონელი.

ახლო აღმოსავლეთი. \*)

გასული საუკუნის ორმოცდა ათიან წლებში ატყდა დიდათ დატანჯული სომხეთის საქრისტიანო ერი და ვანის ტბის არე-მარეზე, სასუნისა და ზეითუნის მთებზე დაიწყო დიდი მოძრაობა და შფოთი. მამძობლათ პირველი მებაირახტრე იყო სარქის კუკუნიანცის რაზმი, რომელმაც დაიწყო ეროვნული ბძობა ოსმალეთის ტერიტორიაზე და ბევრი კავკასიელი სომეხიც გაიტაცა მან. კუკუნიანცი პეტროვორაზუმოვის სამეურნო აკადემიაში იყო ნასწავლი და სულ ერთიანა თვისი დიდი წმიდა საქმით იყო ჩაყლაპული. მარა ერთი ფაქტი, რომელსაც აქვე მოგახსენებთ, აშკარაა, რომ იგი დიდი ფანტიკოსიც იყო თვისი საქმისა. როცა მან ოურქი მოკლა, სხვერპლს ვასისხლიანებული თითი წააქრა და ცხელი ჩაით. სავსე ჭიქაში ჩაადგო და ისე ეზიარა ოსმალელის სისხლით.

რუსეთის საზღვრებში რევოლიუციონერ

მოქმედებისთვის კუკუნიანცს ოცი წლის კატორღა მიუსაჯეს. კატორღელმა კუკუნიანცმა რუსეთ-იაპონიის ომში მიიღო მონაწილეობა. მან მოხალისეთა საკუთარი რაზმიც შეადგინა და იაპონელების წინააღმდეგ იბძობა, რისთვისაც რუსეთის მთავრობამ იგი გაათავისუფლა. 1906 წელს იგი ნუხის მაზრაში დაბრუნდა და იქ დაშინაკაკანების პარტიის ერთი თვალსაჩინობელადთაგანი გახდა, რისთვისაც თუთხმეტი წლის კატორღა მიუსაჯეს. პატიმარი განჯის ციხეში მოათავსეს, საიდანაც იგი გაიქცა კატორღაში გაგზავნის რამდენიმე დღის წინათ. მარა, მერე, კუკუნიანცი ბერის ტანისამოსში გამოწყობილი მაინც შეიპყრეს ერევნის გუბერნიაში, საიდანაც იგი აპირებდა ოსმალეთში გადასვლას...

სარქის კუკუნიანცის რაზმის ბძობით დაიწყო სომხების ამბოხება, რომელთაც დიდი იმედები ქონდათ ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებისა. სომხები ფიქრობდნენ, რომ ბერლინის ტრაქტატის 61 მუხლს დიდ დიდი ევროპის პირველ ხარისხოვანი კაპიტალისტურა იმპერიები გაახორციელებდნენ, თუ სომხები იბძობდნენ თვისი ცხოვრების გაუმჯობესობისთვის. მარა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა დიპლომატიამ ყური წაიყრუა და უბედური სომხეთის მშრომელი, დიდათ დატანჯული ხალხი ფანტიკოსი ქურთების და თურქთა უმოწყალო, შეუბრალებელი თარეშით გაიელტა. 1895 წელს უკანასკნელი 300.000 სულზე მეტი სომეხი გაწყდა, რამდენი ავლადილება და ქონება, სიმდიდრე დაიწვა და დაიღუპა, ვინ მოთვლის, ან ვინ იანგარაშებს. მარა სომხებს ოსმალეთში მაინც არა ეშველათ რა...

ასეთივე საშინელი ამბები იყო ტეხილი კუნძულ კრიტზე. უშველებელი აჯანყების ცეცხლის ჩაქრობას არ მიეცა იქ დასასრული. დიდი და გასაოცარი აჯანყების ცეცხლის აღი მოედვა თლად მაკედონიას, რომელმაც დიდი განუზომელი სხვერპლიც შესწირა თვისი გამწარებული ცხოვრების გაუმჯობესობის საქმეს..

ამ მუდმივმა გამწარებულმა, დაუსრულებელმა ეროვნულმა ბძობამ დიდათ გააძლიერა

\*) იხ. "განთიადი", № 10.

ოსმალეთის დესპოტის, აბდულ-ჰამიდის „წითელი რეჟიმის“ სიმძიმე და ატყდა ისეთი გასაოცარი ჟღერა და ხოცვა ქრისტიანებისა ოტომანთა იმპერიის ვრცელს არე-მარჯზე, რომლის მსგავსი ძნელათლა თუ ახსოვს, როდისმე, ისტორიას. განუწყვეტელი, დიდი სისხლის ღვრა და საშინელი ბძოლა მაინც ვერაფერმა ვერ შეწყვიტა, რადგან ოსმალეთის ქრისტიანები ღრმით დამიდებულნი იყვნენ ევროპის დიდი, პირველ ხარისხიან სახელმწიფოებთან, რუსებთან და ბალკანეთის ქრისტიან პატარა სახელმწიფოებთან, რომ მათ ბედს რამე ეშველებოდა და ბერლინის კონგრესზე გადაწყვეტილ რეფორმებს მაინც მიანიჭებდნენ...

ამ დროს, როგორც მოგეხსენებათ, აზიის ყვითელმა, „პატარა“ კაცმა საშინლათ დაამარცხა წყნარ ოკეანეზე და ხმელეთზედაც დიდი კროსეთის იმპერია და მთელა აზიის კაცობრიობაც ფეხზე დადგა... დაიწყო ეგვიპტის და აზიის ვრცელს, თვალ-უწყვეტელ ტერიტორიაზე რევოლუციების ხანა და ოსმალეთის იმპერიაც თლად გადააბრუნა ამ დიადმა ისტორიულმა ამბავმა... აბდულ-ჰამიდის რეჟიმის დროსვე, ოსმალეთი, დიდათ დაშინებული ევროპის დიდ-დიდ კაპიტალისტური, პირველ ხარისხიან სახელმწიფოებში და ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებთან, რომელთაც ოსმალეთის ტერიტორიის დაყოფაზე უჭირავთ თვალი, იმას უნდა ცდილიყო, რო თვისი არმიები ევროპულ წესზე დაერაზმა და იგი თანამედროე სამხედრო დისციპლინის ქარცეცხლში გაეტარებია. ამასთანვე არმიამ რო თანამედროე მოთხოვნილებას გაუძღოს, მიუცილებლათ, მას უნდა ყავდეს განათლებული, ფხიზელი აფიცრობა. ამიტომაც, კუიანმა აბდულ-ჰამიდმა ისეთი აფიცრობა შექნა ოსმალეთში, რომელიც ფრანკო-სლავების და ნემსების მომზადებული იყო. ევროპულ განათლებასთან ერთად, ოსმალეთის აფიცრობამ გულით და სულით შეითვისა წმინდა ევროპული იდეებიც. ძლიერმა, თავშეუკავებელმა ლიბერალურმა მოძრაობამ მოიცვა თლად არმია და, აწაიარათ, ოსმალეთში გაჩნდა ძალი, რომლის მეოხებითაც ახალგაზდა ოსმალეებმა 1908 წელს, ზაფხულის თვეში, აბდულ-ჰამიდის დესპოტობას საუკუნოთა ბოლო მოუღეს და განაახლეს 1876 წლის ნოემბრის კონსტიტუცია...

ახალგაზდა ოსმალთა ინტელიგენციას, რო-

მელსაც ევროპის დასავლეთის ხმელეთის მცხოვრებთა აზროვნობა სრულიათ შეთვისებული აქვს და ნამდვილი ფრანგული განათლებაც აქვს მიღებული, გულით შეყვარებული აქვს აგრეთვე ევროპული სოციალური, პოლიტიკური და ფილოსოფიური მისწრაფებანი. უნდა მოვიხსენო აქვე ისიც, რომ ოსმალეთში სოციალისტებიც არიან, რომელთაც პარლამენტში თვისი საკუთარი წარმომადგენელიც ყავთ. ოსმალეთის სოციალისტები ინტერნაციონალისტები არიან, რომელნიც აღიარებენ თავიანთი მამულის სხვადასხვა ეროვნულ სექციების სრულავტონომიასაც და დიდათ საჭიროთ თვლიან დიდი ოსმალეთის სახელმწიფოს საერთო ფედერატიული ფორმა მისცენ...

ვისაც კაცობრიობის მომავალი გულწრფელათ წაჰს და აღტაცებით შეყურებს აღმოსავლეთის ერების გამოღვიძებას, იმას დიდი სასოება და იმედი ჩაესახა გულში, რო ბოსფორის უტურფეს ნაპირებზე და ოსმალეთის იმპერიის მთელს არე-მარჯვეც ფრთას გაშლიდა ჯერ არ ნახული კულტურა, სოციალური ურთიერთობა და დაიწყებოდა სხვა და სხვა ერების უფრო სამართლიანი დამოკიდებულება და ძმური კავშირი. ამის დიდს იმედს იძლეოდა თვით თურქთა-ოსმალეების განვლილი ცხოვრება. თურქი-ოსმალის ხალხი, თვით კარლო მაქსის სიტყვით, ერთი უნიჭიერესი, დიდი მშრომელი, მამაცი, გულადი, პირ და პირი ხალხი, ფანტკოსობას სრულიათ მოკლებულია. ამასთანვე თვისი საკუთარი სულიერი კულტურაც აქვს. პოლიტიკურათ გათავისუფლებული ოსმალის ერი მომავალი, სამერმისო კულტურული გავითარებით უნდა ზიარებულიყო და იგი, უეჭველათ, თავის საკუთარს წვლილსაც შეიტანდა ევროპის ერების სულიერ ცხოვრებაში...

თურქ-ოსმალეებმა რო კონსტანტინოპოლი აიღეს, ისინი რიცხვით, როგორც ამბობს ნ. ვამბერი, 25.000 სულს არც კი აღემატებოდა. მარა, როგორც ვიცით, ახლა ოსმალთა რიცხვი ათს მილიონსაც გადააჭარბებს. საიდან მოხდა ასეთი არა ბუნებრივი მოვლინება? ყოველის მხრით დიდათ შესანიშნავია ამ საოცარი, პირ და პირ საარაკო ერის ისტორიული გავითარება. ოსმალეებმა სულ აღწლიათ შესძლეს და მოახერხეს ნიჭიერად სრული და ქვემარბი ასიმილიაცია, ესე იგი, ნამდვილი შედუღება დაპყრობილ, კულტურულათ წინ წასულ ერებისა ისტორიაში. ისინ-

ნი, სწორეთ ძმასავით ისისხლ-ხორცებდენ, ინათესავებდენ სხვა და სხვა კულტურულ ერებს და თავის რჯულს აღებინებდენ ხოლმე. და, მერე, როგორც ნამდვილი ძმები, დემამის ერთი ღვიძლი შვილი, ისე განუყრელათ და სიყვარულითაც ცხოვრობდენ ერთად. ამ ნაირის კეთილ განწყობილის საშვალეებით, თურქ-ოსმალთა სისხლი ღოვნიერათ შეერია სხვა და სხვა ერთი მეორეზე ულამაზეს ერების სისხლს და, შერჩევის კანონის ძალით, იმათი ტიპი სრულიათ შეიცვალა: ახლა ოსმალთა-ნა ლამაზი და შევნიერი იშვიათია მთელ დედამიწის ზურგზე. ამის მიზეზი ის იყო, უმთავრესათ; რომ ოსმალთა ქვარამ ხაბებში თავი მოიყარა მთელი ქვეყნიერების ულამაზესმა, უტურფესმა ასულებმა და უფრო-კი ჩვენი სამშობლოს, საქართველოს და ჩერქეზეთის მზე-თუნახავებმა. ქართველების სისხლი შაინც ღოვნიერათ შეერია თურქ-ოსმალთა სისხლს. ამბობდენ, ახლანდელი ნიკიერი ზვანქარი მაჰმედ V ქართველი სახლის შვილიაო. ეს გარემოება, რათქმა უნდა, დიდს საბუთს იძლეოდა, რო პოლიტიკურათ მკვდრეთით აღდგენილი, განახლებული, ახალ ვაზდა ძლიერი ოსმალეთის კაცობრიობა სრულიათ ახალს, ჯერ უცნობს შემოქმედობის ძალას შესძენდა დასავლეთის კონტინენტის კაცობრიობას...

ოსმალეთის რევოლიუცია ნიადავს პოპულობდა იქაურს მკვიდრთა და დაწინაურებულს წრეებში, ქალთა და კაცებში, თავისუფალ პროფესიების ხალხში, მოსწავლე ახალგაზღობაშიაც და სხ., რომელნიც ყოველგან და ყოველთვის გავლენიანი და პოპულიარული არიან. განათლებული აფიცრების წყალობითაც ამ რევოლიუციას ემორჩილე ზოდა მთელი არმია. მარა უბედურობა ეს იყო, რომ ევანგიური გავითარება ოსმალეთისა არ არის ისეთი ღრმა და ვრცელი, რო რევოლიუციის ბრწყინვალე და მადლიან იდეებს ფრთები ღონიერათ გაეშალა ქვეყნის ხსნისა, გარდაქმნის და აყვავებისთვის. ახლათ დაწყებულ, განახლებულს ცხოვრებას ხალხების დიდი ყურათღება, მათი ცხოვრების გაღრმავება, გაძლიერებაც მხოლოთ და მარტო მაინ შეუძლია, თუ ეკანონიერათ წინ წასულია ცხოვრება და, რადგანც ეს ოსმალეთში საგრძნობლათაც არ იყო გავითარებული, ამიტომ რევო-

ლიუციამ იქ ღრმა კვალი ვერ გაავლო მთელ იმპერიის არე მარეზე გაქიმულ ცხოვრებას...

ამიტომაც, ჯერ იყო და ძველი რეჟიმის მომხრენი შეთქმულობას შეთქმულობაზე იწყებდენ სახელმწიფოს სხვა და სხვა მხარეებში და კუთხეებში და არა ცხრებოდენ, იარაღს არ ყრიდენ, ასე ადვილათ შეჩვეულ ძველ ცხოვრებას, ძველ პრივილეგიებს და უპირატესობას არ თმობდენ. ამასთანვე ოსმალეთში მოსახლე სხვა დასხვა ისტორიული ქრისტიანი ერები, რომელთაც ოდესღაც ისტორიაში თავიანთი საკუთარი ცხოვრება უწარმოებიათ, თავისუფალ ავტონომიურ სახელმწიფო წესწყობილებას თხოულობდენ და აჯანყებას აჯანყებაზე ახდენდენ და იბძოდენ. ასე, მაგალითად, რევოლიუციის მოყვა არაბეთის აჯანყება, მერე, დაუწყნარებელი მაკედონია და ალბანეთი, სომხეთი და, ასე დაუსრულებლათ... ახალგაზდა ოსმალებს სულიის მოთქმაც არ დააკლდეს და იმათაც, რათქმა უნდა, ვერ მოახებხეს ასე ერთბაშათ, უცბათ, სულ დაუთქმელათ ძლიერი და შორს განსმკვრეტი მთავრობის შექნა, რო ქვეყნისთვის დიდათ საქირო და აუცილებელი რეფორმები თავის დროზე შემოედოთ და დემყარებინათ უფრო სამართლიანი სოციალური ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც იქ რევოლიუცია მოხდა, ოსმალეთის განახლებული მთავრობა იარაღითა და მახვილით მხოლოთ მშვიდობიანობის დამყარების ცდაში იყო. ამას დაერთო სრულიათ უსამართლო ომი იტალიისა ოსმალეთის იმპერიასთან, რომელმაც ერთი წელიწადი კინაღამ გასტანა და, რათქმა უნდა, ძალიანაც დააუძლურა, დაასუსტა ეს სახელმწიფო...

ის ის იყო იტალიასთან ომიც თავდებოდა და ამ დროს ბალკანეთის ოთხი ქრისტიან სახელმწიფოთა კოალიციამ ოსმალეთს მოთხოვნილება წამოუყენა, რო ბერლინის კონგრესზე გადაწყვეტილი რეფორმები მოეხდინა მას ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნების და სლავიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. კოალიციამ ოსმალეთს ისეთი კილოთი მოთხოვა ეს რეფორმები, რო მან ვერ შეძლო კოალიციის დაკმაყოფილება და, აი, ამ კოალიციის გაწვრთნილი ჯარები ყოველის მხრით შემოერტყენ ოსმალეთს და დაიწყო საშინელი, თავზარდამცემი ომი. ბალკანეთი ბლკანელთა, გაყვიროდენ მოკავშირე სახელმწიფოთა მეომრები და ყოველსაშვალეებას, ღონისძიებას ხმარობდენ სრულიათ

გაენადგურებიათ თურქი-ოსმალები და საშუალოდამოთაც გაედევნათ ისინი ევროპის ხმელეთიდან...

ომის მიზეზით იმასაც ასახლებდნენ, რომ ოსმალებს ვითომც მაკედონიაში ქრისტ ანების სოფლები აეკლოს. აქ უნდა ევროპა ჩარეულიყო საქმეში და მაკედონიისთვის ავტონომია მიენიჭებია. ან არა და მაკედონიაში უნდა რევოლიუცია მომხდარიყო და მაკედონია უნდა განაწილებულიყო ბერძნებსა, ბულღარებსა და სერბიის შორის. აი, სწორეთ ამ დროს შედგა ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთა სამხედრო კავშირი რუსეთის დიპლომატიის მოხერხებით და მეთაურობით ავსტრი-უნგარეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ სამხედრო კავშირმა მალე სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო და 29 თებერვალს, 1912 წელს მოკავშირეებმა პირობა შეკრეს, რომლის ძალითაც ისინი ურთიერთ შორის იყოფდნენ მაკედონიის ტერიტორიას. ამ დროს სტამბოლში კაბინეტი დაეცა და ოსმალთა შორის დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ალბანეთის მოძრაობამ, რომლისთვისაც ავსტრი-უნგარეთს უნდოდა ავტონომია მიენიჭებია. ამ ამბებმა გაამწვავა მდგომარეობა და ასტყდა ომიც...

თუმცა ეს გარემოება ზღადავდა კიდევ ვერა ხსნის საგანს და მართთ ეს მიზეზები ვერ გამოიწვევდა ომს. ყველამ იცის, რომ ოსმალები ქრისტიანებს მაკედონიაში წინააღმდეგ ყოველთვის უფრო უღებდნენ და უფრო უარესად აწამებდნენ, ვიდრე ახლა. მარა ოსმალებისთვის ამიტომ ომი არავისაც არ გამოუტყდადებია. მაკედონიაში ქრისტიანების აკლება ოსმალთაგან, შესაძლებელია, ომის საბაბათ ჩაეთვალოთ.

ნამდვილათ-კი, აი, საქმე როგორ იყო. როგორც მოგვხსენებთ, დიდ-დიდ კაბიტა-ლისტურ, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა დიპლომატებმა, ასე წოდებული, status puo (არსებული მდგომარეობა) შექნეს, რომლითაც ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები ძალიან მავრათ შეკრეს. დიპლომატებისგან ხელოვნურათ შეკრულ საზღვრებში ჩაქერილი პატარა სახელმწიფოს მცხოვრებნი ნაბიჯებს ვერადგამდნენ წინ მეურნობის და მრეწველობის გავითარების გზაზე. იმათ შეკრული ქონდათ გზა კულტურული ზრდისა და წარმატების. და საკუთარს გავარჯილებულს ტაფაში იწვოდნენ და იხრაკებოდნენ. რასაკვირველია, ამ არა

ნორმალურ ცხოვრების პირობიდან გამოსვლა, ფრთების გაშლა უპირველეს, უაღრეს მოთხოვნილებათ შეიქნა ამ პატარა სახელმწიფოთა მცხოვრებლებისთვის. და, რა თქმაუნდა, აქ მართო დინასტიების ინტერესები არ მოქმედებდნენ... მარა, ხომ ისიც კარგათ მოგვხსენებთ, ცალკე-ცალკე არცერთ ბალკანეთის პატარა სახელმწიფოს არ შეეძლო ძლიერი ოსმალების იმპერიის წინააღმდეგ ამხედრება და ხმის ამოღება და, აი, მოხდა სასწაული, დადგა ფრიათ შესანიშნავი მომენტი, რომელიც იმ წამსვე დარაზმა და შექნა თურქ-ოსმალთა საბედისწერათ დასატაკებლად სამხედრო კავშირი ოთხი სახელმწიფოს-საბერძნეთისა, ბულღარეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიისა...

იტალიამ რო პირველათ ოსმალებს ომი აუტეხა, პოლიტიკურათ განახლებული ოსმალებითც წაშკაცურათ დახვდა ამ უსამართლო ომს. და, ტრიპოლისში რომ არაბთა თავისუფალი ატრიადები ამარცხებდნენ პირველხარისხოვან სახელმწიფოს—იტალიის გაწვრთნილ სალდათებს, მთელი დედა-მიწის მამალიანთა ქაცობრიობა უდასდესი ენტუზიზმით აფრთოვანებული გახურებულ ტაშს უკრავდა ამ სანახაობას. მარა იტალიასთან ომი მთელი ერთი წელიწადი გაგძლდა და ამან დიდათ შეავიწროვა, მოლათა ოსმალებით. ახლა ამას მიუმატეთ დაუსრულებელი შინაური შფოთი, რომელიც ატეხილიყო მრავალ სხვა და სხვა ერების მიერ მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, სახელმწიფო ხაზინის სიცალიერეც და, ადვილათ წარმოიდგენთ, რასაკვირველია, რომ ოსმალებით იმ წამში ადვილი დასამარცხებელიც იყო. თან ჯარებიც შოს ყავდა დაქსაქსული და საომარ პუნქტებზე ვერ მიესწრო დროზე. თუ არ იმ წამს, აბა, შენდევნაში ნიჭიერ და ენერგიულ თურქ-ოსმალებს შეეძლებოდათ წელში გამაგრება, განახლება, სრული გამოლონიერება, ფინანსების მოწესრიგებაც, სამხედრო ძალებს საჭირო დავილებზე მოუყრიდა თავს, კარგადაც გააძლიერებდა და მოაწყობდა საქმეს და მაშინ, აბა, ვინდა გაუბედვდა მას პირის პირ შებმას. აი, ბალკანეთის ოთხი პატარა სახელმწიფო

ფოეზის კოალიციამ ძალიან მარჯვეთ ისარგებლა სწორეთ ამ მომენტიტ და დიწყეს „ომი ჯვარის ნახევარ მთვარის წინააღმდეგ“. ეს მომენტი, მართლაც, „სახელდახელო“ შეიქნა.

**გულკეთილი.**

(შემდეგი იქნება)

**მოგონება.**

(ახლო წარსულიდან)

რამდენათ ბენდიერი ვიყავით ქართველები, როცა მგზავრობაში, ან სადმე ოჯახებში ენახულობდით ტკილათ მოსაუბრე უკვდავს აკაკის მახსოვს, ამ ხუთი წლის წინათ, მგოსანი საჩხერიდან ტფილისს მიბრძანდებოდა. იმ დროს მე და დეკანოზი, იოსებ წერეთელი ქუთაისში ვაპირებდით წასვლას. საჩხერიდან ჩამოვლილი სახალხო მატარებელი გაჩერდა, თუ არა ჭიათურის სადგურზე, მეორე კლასის ვაგონში თვალი მოვკარიტ აკაკის, რომელიც ვაგონიდან ჩამობანდა და სალამით გარს შემოეხვია სადგურზე მყოფი ხალხი. ჩვენც მეორე კლასის ბილეთები ვიყიდეთ, რი ჭიათურიდან შორაპნამ დი დამტკბარვიყავით აკაკის მხერით და მუსაიფით.

გაზაფხულის დღე იყო. გარშემო მთები ამწვანებულიყო ახალი გამოფოთილილი ტყითა და ყვავილუბით და ბუნება გარშემო ნახსურნელუბას აფრქვევდა. ჭიათურის ვიწრო ლიანდაგზე მაზარებელი და გიჟმატი მდინარე ყვირილა ერთად გველივით მიიკლაკნებოდენ ყვირილის ხეობაში, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო, რომელი გავასწრებთ, ან რომელი ვჯობივართო. აკაკი კარგ გუნებაზე იყო. ის გართო გაზაფხულის ბუნების სიშვენიერემ და სიკკელუკემ და ხშირათ ფანჯარას გადაჩერებოდა. რკვიის სადგურს რი ვავცილდით, დილის 9—10 საათი იქნებოდა. იმ დროს, მარცხნიტ მდლოობზე აკაკიმ თვალი მოკრა ბოსლევის წმიდა გიორგის ეკლესიას, რომელიც მედიდურათ მდლოობიდან თავს დაყურებდა ყვირილის ვიწრო ხეობას. მგოსანმა მოიგონა ძველი დრო, ხელი გაიშვირა ეკლესიისკენ და დეკანოზს შეეკითხა;

- მაშაო იოსებ! იმ ბოსლევის ეკლესიის კურთხევა გახსოვს, თუ არაო?
- არ მახსოვს, ბატონო, უპასუხა დეკანოზმა.
- ბა, მე-კი კარგათ მახსოვსო, დიწყ-

ყო აკაკიმ: — სამოციან წლებში რუსეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი; იმერეთის ეპისკოპოზი, სულმნათი გაბრიელიც ახალი დანიშნული იყო იმერეთის მწყემსთავრათ. მე იმ დროს ბოსლევში შემთხვევით სტუმრათ ვიყავი აბაშიძეებში და ამ ეკლესიის კურთხევას მეც დავესწარი. ყოვლათ საღვდელო გაბრიელმა ნაწირევს ჩვეულებრივათ იქადაგა, დალოცა ხალხი და იმ დღეს საზოგადო სადილზე მეც მიმიწვიეს ეპისკოპოზთან, რომელსაც, როკოროც ახლათ დანიშნულ ღვედმთავარს, სიტყვები უთხრეს სადილზე. სხვათა შორის, მეც სიტყვა ვუთხარი. სიამოვნებით მახსოვს ის ძვირფასი დრო. გზაში მგოსანმა ბევრი იოხუნჯა, ბევრი ისაუბრა და, სხვათა შორის, ჩამოავდო ლაპარაკი დღეინდელ საღვდელოებაზე, ეკლესიურ წესწყობილებაზე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზეც (დამოუკიდებლობაზე).

დაახლოვებით ესა თქვა: ყოველი ქართველი ღვედმთავარი და თითოული ღვედელი, ვისაც-კი ქართველობა წამს, ზნეობრივათაც და სამსახურითაც ვალდებულია იზრუნოს თავის სამწყსოს სულიერ მდგომარეობაზე და ზნეობრივათ ამაღლებაზე. და ეს-კი შეიძლებაოდა მხოლოთ მაშინ, როცა საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიური იქნება. ორმა ჩვენმა გამოჩენილმა ქართველმა ღვედმთავრებმა ლე ანიდმა და კირიონმა თვისი თავი დასდევს, ბევრი წერეს, ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იშვადგომილეს უშაღლეს სასულიერო წრეებში, მარა შაათი თხოვნა ვედრება უმნიშვნელოთ დატოვეს მხოლოთ იმიტო, რი ქართველმა საღვდელოებამ იმ დროს შესაფერისათ ვერ აღიმაღლა თვისი დაჩაგრული ხმა, ვერ გამოეხარხლა და ვერ თანაუკრძნო ამ ორ თავდადებულ ღვედმთავარებს... ასე ვაშინჯეთ, ერთი მათგანი — კირიონი დღესაც სასტრუქ სასჯელშია, აუტანელი მდგომარეობაშია მოხუცებულო ღვედმთავარი, და საღვდელოებაჟ სდუმს და ხმას არ იღებს, თითქო კმაყოფილიც იყოს თვისი მშობელი ეკლესიის ბედისწერი და თავდადებულო ღვედმთავარების დღეინდელ მდგომარეობითო... დღეს თუ წირვა-ლოცვისა და ეკლესიას გაურბის ქართველი ერი, ეს მხოლოთ იმიტო, რი ძველებური სასოებანი წირვა-ლოცვა და ტკბილი გალობა მშობელ ენაზე აღარ წარმოებს ჩვენს ეკლესიაში. ჩვენდა სამწუხაროთ და სასირცხვოთ, ზოგიერთ ჩვენს

ლესიებში ზოგიერთმა მამებმა, უფროსის გულის მოსაგებათ. შემოიღეს სლავიანური წირვა-ლოცვა. ამიტომაც, ხალხი ვერ ისმენს გაუგებარ ენაზე ლეთის მსახურებასო. . ან-კი, რა გასაკვირალია ქართველმა ვერა გაიგოსრა სლავიანური ენის, მაშინ, როცა ეს ბოლღარული ენა თვით ბუნებით რუსებსაც კარგათ არ ესმით და ჩვენ, ვინ დაგვიძრახავსო... და ეს რომ ასეა, მგოსანმა მოიტანა რუსის საღვდლოების ცხოვრებიდან ერთი ფაქტი, რომელიც ცხადათ ამტკიცებს ამ ენის გაუგებრობას. აკაკი მოყვა:

— თურმე, ერთმა რუსის სემინარიელმა მოძღვარმა, შიმშილობის დროს, შიმშილის შესახებ უქადაგა თავის სამწყსოს და სახარებიდან აიღო ერთი წინადადება, რომელშიდაც ეწერა სიტყვა (Елико же) „ელიკოჟე“. მოძღვარმა ამ სიტყვის მნიშვნელობა ასე აუხსნა ხალხს: სულიერო შვილებო! ნუ შეშინდებით. ახლა დრო გამოშვებით მაინც შოულობთ პურს და უწინ, ძველ დროში ისეთი ძლიერი შიმშილი ყოფილა, რომ ჩვენი წინაპრები, თურმე, ტყავს ჰამდნო, „Би и кожу. ამნაირათ, „Еликоже“ რუსის ღვდელს ეგონა „Би и жу“, და ამ სიტყვის მნიშვნელობა, რომ ქართველმა ღვდელმა, ან მისმა ქართველმა სამწყსომ ვერ გაიგოს — განა გასაკვირალიაო?“. . გულიანათ ჩაიცი-ნა დიდებულმა აკაკიმ... კიდევ ბევრ საგულისხმოს და საყურათლებოს გვეტყოდა მგოსანი, მარა, სამწუხაროთ, იმ დროს ჩვენი მატარებელი მიუახლოვდა შორაპნის სადგურს, რაც ორთქლმავალს კვიცილმა გაგვაგებია. თორე, ისეგავგიტაცა აკაკის საუბარმა, რომ მთელი ვნ ვერსტი მანძილი ჭიათურადან შორაპნამდი ისე გავიარეთ, ვერ გავიგეთ. შორაპანში გამოვგმწვიდობეთ დიდებულ მგოსანს და ჩვენ ჩვენ გზას გავუდქვით.

**ბესარიონ ჭიათურელი.**

დ. ჭიათურა.  
31 აგვისტო 1915 წ.

**ქუთაისის თვითმართველობის დეპეშა.**

ქალაქის მოურავმა მეფის მოადგილის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„ქუთაისი. ქალაქის მოურავს ჩიქოვანს. გულითად მადლობასა ვწირავ ქუთაისის საქალაქო თვითმართველობას და ქალაქ ქუთაისის მცხოვრებლებს მოსალმებისთვის. ღრმით მწუამს, ღმერთი მომცემს ძალას, დავამარცხო მტერი და ნაყოფიერათ ვიმუშავო მთელი კავკასიის სასარგებლოთ.

**გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი“.**

ეს დეპეშა პასუხია შემდეგი დეპეშისა, რომელიც ქუთაისის მოურავმა, საბჭოს დავალებით, მეფის მოადგილეს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გაუგზავნა:

„ქუთაისის ქალაქის საბჭო, რომელიც გამოხატავს, არა მარტო ქალაქ ქუთაისის, დასავლეთ საქართველოს ამ ძველ დედა ქალაქის — ქემმარიტ სულის კვეთებას, არამედ მთელი ქართველი ხალხისაც, ბედნიერია, მოჟლოცოს თქვენს იმპერატორების უმაღლესობას და გამოთქვას თვისი უერთგულესი გძნობა უსაზღვრო სიხარულისა, იმის გამო, რომ თქვენი უმაღლესობა დანიშნული იქნა მეფის მოადგილის დიდსა და პასუხსაგებ თანამდებობაზე კავკასიაში. ქართველი ხალხი ხედავს ამ მრავალ მნიშვნელოვან სიყვარულით აღსავსე ხელმწიფის უმაღლეს აქტში განსაკუთრებულ ყურათლებას კავკასიისადმი, საზოგადოთ, და კერძოთ საქართველოსადმი, და დაიმედებული შეცქერის ნათელ მომავალს, როგორც ჯილდოს ბძოლის ველზე ქართველთაგან დანთხეულ სისხლისას და აღფრთოვანებულია იმ იმედით, რომ თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა ასრულებს ხალხის დიდი ხნის ნაჟერას, მისი ეროვნულ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაქმყოფილების შესახებ, ფართო ადგილობრივ პოლიტიკური თვითმართველობის მონიჭებით. ამ იმედს ქართველ ხალხში აღრმავებს მტკიცე რწმენა იმისა, რომ მაღალ მოწყალე და გამამხნევებელი მოწოდება პოლონეთის ხალხისადმი, რომელიც პირდებოდა მას ფართო თვითმართველობას, გამომდინარობს თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობის ღრმა რწმენიდან, რომ რუსეთის ძლიერების სასიკეთოდ და გასაერთიანებლოთ საქიროა ფართო თვით-

მართველობა ერებისთვის. დიდ შედეგების შოლოდინში, ქართველი ხალხი, რომელიც არაერთხელ სხვერპლს არ ზოგავდა აქამდე, მომავალშიაც მხათ არის სწიოს უღელი ომისა, ბედნიერმა და ამაცმა იმ შეგნებით, რო მისი ბედი აბარია თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას, რომელშიც მოიხვეჭეთ სოფლიო სახელი სარდლისა და პოლიტიკოსისა. უზუნაესმა მოგმადლოთ ტანმთელობა და ძალა დასათრგუნათ მტრებისა და წარსამართად იმ ქვეყნის მოქალაქეობისა, რომელიც თქვენ გაბარიათ“.

### დაბა ხონი.

ხონი წარმოადგენს თითქმის პატარა სამრეწველო ქალაქს, რომ მოუწყვსრაგებელი და მოუკირწლოავი ქუჩები არ ჩრდილავდენ მას. სასწავლებლების მხრით მას, როგორც დაბა-სოფელს, მთელ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს.

ადგილ შეებარება სულ ვაკეს წარმოადგენს და მასთან ნოტიოანია. სინოტივეს ხშირ წვიმებთან ერთად, ხეების ნაშეტანი ჩრდილი და ხონზე უთავბოლოთ დარეგბული წყალი უნდა ხელს უწყობდეს. თითქმის ყველა სასწავლებლების გახსნისა და წყლის გამოყენის საქმეში თავოსნობა ეკუთვნის ივანე შარაშიძეს. იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, დაუტყრომელი, დაუღალავი აღამიანი ყოფილა. ივანე შარაშიძე სულ ორი წელიწადია, რაც გადაცვლილა. ხონის საზოგადოებას ეს სახელოვანი აღამიანი შესაფერ ადგილზეც დაუსაფლავებია ხონის ბაღში. მარა, როგორც ერთმა იქაურმა გადმომცა სხვადასხვა მიზეზების გამო, მის სასაფლავოს ძველი ვერ დაადგეს, თუმც ძველის დადგმა საზოგადოებას გადაწყვეტილიც აქვს.

აქ პარასკეობით ვაჭრობა იმართება. ახლო მახლო სოფლებიდან, მომეტებულათ, ქალებს ჩამოაქვთ თვისი ნაშუშევიარი, შალები და სხვა და ყიდიან. ჩვეულებრივ გამყიდველ ქალებს შავი, ან თეთრი მოსახვევებით აქვთ ცხვირ-პირი აკრული, გარდა თვალებისა. ეს ძალიან დამახასიათებელი მოვლინება მათი ბნელი თავმოყვარობისა, რომ მეზობელმა, ან ნაცნობმა ვერ იცნონ ისინი საკუთარ ნაშრომის გაყიდვის დროს.

ხონის ქალთა წრე თავის დანაშნულებას ამართლებს. მარა შრომა ერთი ორათ ნაყოფიერი იქნება, როდესაც თითოეული წევრი, გარდა საკუთარი ვალის შესრულებისა, თვითმომკმედიც იქნება.

გართობის მხრით, ხონი ოხვრის ქვეყანას წარმოადგენს. რა არის მართო შრომა ქამსმისთვის, თუ სულსაც შეება არ მიეცა. ერთად ერთი მუღმივი გამართობი დაწესებულება აქ პროექტორია. ლამის, ესეც დაიკეტოს. სულ ადვილათ-კი შეიძლება მისი არსებობა. თუ დამსწრე საზოგადოების მცირე ნაწილი თვისი წვლილით ხანდახან ვერ აკმაყოფილებს ხარჯს, შეიძლება და ამხანაგობის შემადგენლობა გაფართოებულიყო. რამდენათ ამხანაგობა დიდი იქნებოდა რიცხვით, იმდენათ ყოველ თვიური საწევრო გადასახადი ფული ნაკლები იქნებოდა.

ამაირათ, ხარჯები მუდამ რაიფარებოდა და პროექტორი იარსებებდა. მისი არსებობა ამნაირათ აუცილებელია, რადგან თვისი მცირე შემოსავლით გაპიღირების მადას ვერავის ვაუხსნის და მისი საშვალეებით-კი ბევრი საქველმოქმედო საზოგადო საქმე ვაკეთდებოდა. სხვა არა იყოს-რა, მოსწავლე ახალგაზღობას, მით უმეტეს დღე-ნდელ სისხლის წვიმების დროს, რომ გასართობი რამ არ მივაწოდოთ, უქველია, მოწყენილობისგან შეხუთულნი გარყვნილების წუმეში ამოველებიან და სიკოცხლით თავსე არსებანი ლანდებს-ლა დამგსავსებიან.

მადლობას ვწირავ პროექტორის ამხანაგობას და ყველა იმ პირთ, რომელსაც ასე, თუ ისე ხელი შემეწყეს საქველმოქმედო მიზნით პროექტორის გამართვაში. განსაკუთრებულ მადლობის ღირსნი არიან ქანი ლ. ქანტურია-შვილი და აღ. ჩიკვაიძე, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს ყოველისტრათ. (31 მ. 30 კ.) საჭიროა მეტი სიკოცხლე, მეტი სიფხიზლე. შორს წვრილმანობა! ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, რომ წალეკოლ არ ვეყვებ დღე-ინდელ ქარტეხილით.

სტუმარი.

რედაქტორ გამოძ. ს. მჭედლიძე.

ხუბა დართულია სმხ. ტესხარისკან. ქუთაისი. სტამბა „მობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოცისა.

1915 წლის 1 ოკტომბრიდან გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ეოველ  
დღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მეგობარი“

გ. შიააშვილის და კიტა აბაშიძის უახლოესი მონაწილეობით.  
გაზეთის ფასი წლიურათ 8 მან. ცალკე ნუმერი 5 კაპ.  
გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და  
რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.  
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. კილაძის სახლი. „მეგობრის“-ს  
რედაქ. რედაქტორ-გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

ეოველდღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „სახალხო ფურცელი“

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.  
მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“, Поч. ящ. № 190.

თფილისის წიზნის მაღაზიეზი იყიდება

გ. თუმანივილის წიკნები:

## Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

## Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.- ქართული თე-  
ატრი. -რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).  
მეორე შეესებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

## ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.